

# ახალი ბანათლები

9 - 15 მარტი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№9 (763) აპრილის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



**მარია ჯაში:** „მე პირობა მივძეგნის სტუდენტებს, რომ კანონპროექტი დარღვევების და პასრულეზ ჩემს დანაპირებს. დარწმუნებული ვარ, აუდიტორია 115-ის წევრები საპასუხო ნაბიჯს გადმოდგამენ: დასრულდება მე-ექვსე კორპუსის პიკეტირება და 800-ზე მეტ სტუდენტს მიეცემა სწავლის შეუფერხებლად გაგრძელების საშუალება.“

## ლექსიკური ყულახის ბასამდიდრებლად

გვერდი 5

## შემაჯავებელი წერების ანალიზი VIII კლასში

გვერდი 6

პარლამენტი „უმალესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განხილვის პროცედურას იწყებს. კანონპროექტი 20-ზე მეტი ქვეყნის გამოცდილებას ეფუძნება, მის მომზადებაში აქტიურად იყენებ ჩართული სტუდენტები.

პოზიცია შეიძლება ჰქონდეს სწავლების პროცესების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, – განმარტა კომიტეტის თავმჯდომარე.



„როდესაც ღმერთი სამშობლოს სიყვარულსა და სხვა ამგვარ მცნებებს ზეციდან მოკვდავებისთვის აფრქვევდა, ჩვენ, ქართველებს „ზონტიკი“ გვეძირა და ახლაც ვერ მოვსულვართ გონზე.“  
მანუელ გომეზი

გვერდი 8

## რატომ იწერება ამგვარი ნიბნები?

გვერდი 9

### კანონპროექტი 4 ძირითად ცვლილებას იტანს სწავლის მიზანს:

**პირველი** ეხება უფლებას, რომ ყველა სტუდენტი პირდაპირი წესით იყოს არჩეული ფაკულტატურ საბჭოში. „დღეს ასეთივე წესი მოქმედებს სენტის წევრების არჩევის პროცესში, რომ არ მოხდეს არჩევის წესებს შორის გათანაბრება და ფაკულტატურ საბჭოში მონაწილეობისთვის არ იყოს აუცილებელი სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა“, – აღნიშნა მარიამ ჯაშიამ. მისი ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნივერსიტეტის დონეზე, უკვე შეცვალა ფაკულტატური არჩევის წესი. კანონპროექტით იგივე უფლება გავრცელდება ყველა სტუდენტზე ქვეყნის მასშტაბით.

**მესამე** ცვლილებით, ყველა სტუდენტს მიენიჭება უფლება, თანაბარი წვდომა ჰქონდეს უნივერსიტეტის ინდივიდუალური და ერთობლივი სტუდენტური ინიციატივების დაფინანსებაზე. „ეს ცვლილება არ ეხება უშუალოდ სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებისთვის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ სახსრებს, რაც ისედაც უნივერსიტეტის გადასაწყვეტია“, – აღნიშნა მარიამ ჯაშიამ. მისივე ინფორმაციით, ეს ცვლილება უკვე განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს გრანტი კონკრეტული ინიციატივისთვის, შესაბამისი განხილვის პროცედურების გავლისა და გამარჯვების შემთხვევაში.

**მეოთხე** ცვლილება ეხება კანონის 45-ე მუხლს, თუმცა მარიამ ჯაშიამ განცხადებით, მოთხოვნა სტუდენტური თვითმმართველობების გაუქმების თაობაზე არ არის გათვალისწინებული. კანონპროექტის თანახმად, თითოეული უნივერსიტეტის დონეზე დარჩება სტუდენტების წარმომადგენლობის 1 წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც უნდა აირჩიოს სტუდენტების, არანაკლებ, 10-მა პროცენტმა. „ამ ეტაპზე შეგვიძლია უფრო მეტი არჩევანის უფლება მივანიჭოთ სტუდენტებს და უშუალოდ უნივერსიტეტის დონეზე გადაწყვიტოს, რა სახელსა და სტრუქტურას აირჩევენ სტუდენტური ორგანიზაციისთვის – სტუდენტურ თვითმმართველობას, კლუბს, ასამბლეას თუ სხვას,“ – განმარტა მარიამ ჯაშიამ.

**მეორე** ცვლილების თანახმად, არა მხოლოდ ბაკალავრიატის სტუდენტებს, არამედ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებსაც მიეცემათ უფლება, იყვნენ არჩეული სენტში და ფაკულტატურ საბჭოებში პროპორციულად, იმის მიხედვით, თითოეულ საფეხურზე რამდენი სტუდენტიც სწავლობს. „ეს არის ლოგიკური ცვლილება, რადგან მეორე და მესამე საფეხურის სტუდენტს უფრო გამოცდილი და ღირებული

## როგორ მოვიპოვო სტატუსი უფროსი → ნამყვანი → მენტორი

აქტივობები უფროსი და წამყვანი მასწავლებლებისთვის

თითოეული მიმართულების ფარგლებში მასწავლებლებს აქვს უფლება შესთავაზოს განსხვავებული აქტივობა

**4** გვერდი


www.tpdc.ge  
ცხელი ხაზი: +995 322 200 220 (4708) | ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

### წიგნის თარი

მასწავლებლის გიგლიოთაქა

### პროფესიული უნარები

დახმარა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მართვა და მასწავლებლის განვითარებისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო დაგეგმვაზე და მომზადებაზე მონაწილეობის მართვის შესახებ მარტივად და მარტივად გაგებინებთ. მასწავლებლის განვითარებისთვის და მასწავლებლის განვითარებისთვის და მასწავლებლის განვითარებისთვის.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და სხვ. კომპიუტერული, სასკოლო კომპიუტერი, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი მიმდინარეობს ხელმოწერა



# კავკასიის უნივერსიტეტი



## კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა ასხადახს კონკურსს ასოცირებული პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი) თანამდებობის დასაკავებლად

### შემდეგ დისციპლინაში:

- ❖ თანამდებობა აზროვნების საფუძვლები (1 ასოცირებული პროფესორი)

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ❖ ასოცირებული პროფესორის თვის
- ❖ დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ❖ ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

### დანიშნულებულია პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- ❖ კურსის სილაბუსი;
- ❖ CV-რეზიუმე;
- ❖ პირადობის მოწმობის ასლი;
- ❖ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტიკაცია საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში, დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
- ❖ სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- ❖ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- ❖ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადაჩვენა;

II ეტაპი – პრეზენტაცია;

III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დანიშნულებულია პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე:

hr@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

კავკასიის უნივერსიტეტი ითხოვს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საბუთების მიღება: 2017 წლის 10 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით

### ინფორმაცია

## თავისუფალი გაკვეთილები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს „თავისუფალი გაკვეთილების“ ახალ, მასშტაბურ პროექტს, რომელიც განათლების ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის ზრდას, არაფორმალური განათლების შესაძლებლობების გაფართოებას, საინტერესო და სახალისო სასკოლო ცხოვრებას შეუწყობს ხელს.

**თავისუფალი გაკვეთილები გულისხმობს** – მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ კლასგარეშე/არაფორმალური აქტივობების ციკლს, რომლის შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია განსხვავდება ტიპური საგაკვეთილო პროცესისაგან, არ ითვალისწინებს საშინაო დავალებების მოწოდებას, მოსწავლის შეფასებას და მოსწავლეს და მასწავლებლებს შემოქმედებითი აქტივობის და იდეების რეალიზების საშუალებას აძლევს.

აქტივობებისთვის, პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

- ❖ სპორტული აქტივობები;
- ❖ ნივნიერების განვითარება;
- ❖ კულტურა/ხელოვნება;
- ❖ ინტელექტუალურ-შემეცნებითი აქტივობები.

თავისუფალი გაკვეთილები დაფინანსდება სამინისტროს მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში, რომლის მიმღები იქნება სკოლა. ერთ სკოლაზე გაცემული გრანტის მაქსიმალური ოდენობა, არაუმეტეს, 3 000 ლარს შეადგენს, რომელიც განაწილდება მასწავლებლების შრომის ანაზღაურებაზე, დირექცია/ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურებასა და პროექტების განსახორციელებლად საჭირო რესურსებზე.

2017 წელს „თავისუფალი გაკვეთილები“ ჩართული იქნებიან VII-VIII კლასების მოსწავლეები. **სპორტული** მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში აქტივობები განერილი უნდა იყოს, არაუმეტეს, 40 საათზე, ხოლო დანარჩენ მიმართულებებში – არაუმეტეს 20-20 საათისა. თითოეულ პროექტში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული სკოლის მოქმედი მასწავლებელი.

სამინისტრო სკოლებს გააქტიურებისკენ მოუწოდებს – წარმოადგინონ პროექტები და დაიწყონ თავისუფალი გაკვეთილების დანერგვა – და წარმატებებს უსურვებს მათ.

## გათუბელი სტუდენტები ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში ინსაველიან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 16 სტუდენტი, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში სასწავლებლად გაემგზავრება. სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ერთ სემესტრს იტალიის, ავსტრიის, ბულგარეთის, ლიტვის და პოლონეთის უნივერსიტეტებში გაივლიან.

სტუდენტებმა, ევროკომისიის სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად, 3 ეტაპად გაიარეს შესარჩევი კონკურსი, რომელიც ინგლისური ენის ტესტირებას, აკადემიურ მოსწრებასა და გასაუბრებას მოიცავდა.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 22-მა სტუდენტმა კი, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ორწლიანი სასწავლო გრანტი მოიპოვა, კონკურსში მონაწილეობის უფლება ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს მიენიჭათ.



## შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს



29 წლის **პალინა ჯაღათაშვილი** ბათუმელია, აქვს სმენისა და მეტყველების შეზღუდვა. 2016 წელს დაასრულა პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ მზარეულის სპეციალობა, საწარმოო პრაქტიკა სასტუმროში „ჰილტონ ბათუმი“ გაიარა და აქვე დასაქმდა მზარეულის სპეციალობით.

პალინამ სტუდენტობის პერიოდში აქტიურად დაიწყო შესტურო ენის პოპულარიზაცია, შექმნა ჯგუფები, ჩართო სტუდენტები, კურსდამთავრებულები, შეასწავლა მზარეულის სპეციალობის პროფესიულ სტუდენტებს და მოხალისეებს საბაზისო საკომუნიკაციო უნებები.

პალინა დღეს სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობს. მან თავისი საქმიანობით დაამტკიცა, რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები: „მიუხედავად იმისა, რომ სმენადაქვეითებული ვარ და ვსაუბრობ შესტურ ენაზე, პროფესიულმა კოლეჯმა „ბლექსი“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავი კომფორტულად და სრულფასოვანად ადაპტირებდი მეგრძნო, მხარს უჭერდა ყველა ჩემს წამოწყებას და, რაც მთავარია, საზოგადოებაში თავის დამკვიდრების შესაძლებლობა მომცა. უღრმესი მადლობა ყველას ჩემი მზარდაჭერისთვის.“

თვალსაზრისი

მშვიდობით, რობინზონ!...

მასწავლებლებს ხშირად არაშემოქმედობითობას, გაუბედაობასა და სიახლისადმი შიშს გვწამებენ. XXI საუკუნეა... განვითარებისა და ტექნოლოგიური საოცრებების სამყარო. ყოველდღიურად უდიდესი აღმოჩენების მონაწილე ვხდებით. დღეს წიგნის მაგივრად კომპიუტერის ეკრანს შევჩერებივართ. წერილებიც აღარ მოაქვთ მტრედებს... ისინიც ელექტრონული გახდა, ხოლო მტრედები გალიებში სხედან. ყველაფერს რაღაც აკლია თითქოს... წერილებს - ზედ შერჩენილი თითების სითბო... წიგნს - წიგნის სუნი... მოკლედ, ინფორმაციული ბუმი, თუ წინათ ინფორმაციის ერთადერთი წყარო მასწავლებელი იყო, ახლა იგი პროგრამირებულმა და დისტანციურმა სწავლებამ ჩაანაცვლა. ცოდნის ტესტებით შემოწმებას შესაძლებელია მასწავლებლის გარეშე. ამიტომ მეტი შემოქმედებითობა, გამბედაობა და სიახლეებისკენ სწრაფვა გვმართებს, რათა „მანქანამ“ არ ჩაგვანაცვლოს. ჩვენ წინაშე ახალი ამოცანაა: ულევინფორმაციის ათვისება, ბავშვის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება, მისი მოთხოვნილებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, ინფორმაციის თანამედროვე წყაროებთან მისახლოებლად ახალი გზების მოძიების აუცილებლობა. არა, არ ვუფრთხი არც გამოწვევას, არც თანამედროვე მოთხოვნებს, არ მაქვს შიში სიახლისა, ამიტომ ჩემს ცნობიერებაში „შემოუფი“ ახალი ტერმინები: ტრენინგი, ტოლერანტობა, ემპათია, გაზომვადი, ვალიდური, განმსაზღვრელი, განმავითარებელი... ახალი საგანი - პროფესიული უნარები, ახალი სახელები: პიაჟე, კოლბერგი... გარდნიერი და მათი თეორიები... მრავალმხრივი ინტელექტის თეორია... პატარა გოგონასავით ვიღვლე გამოცდაზე მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად... მეერ მასწავლებლის სქემა... კრედიტები... ინტეგრირებული და ინოვაციური გაკვეთილები... ესენი ქვეცნობიერად კი არსებობდა ჩემში, ოღონდ მაშინ მათ სხვა სახელები ერქვა, ან საერთოდ არაფერი ერქვა, უბრალოდ ასე ვასწავლიდი. ტექნოლოგიურმა საუკუნემ კი ცოდნის ზღვადქცეული ინფორმაციის მოსწავლის „თავში მოთავსება“ მასწავლებელს თორმეტ წელიწადში დააკისრა და ისიც კათედრებზე არსებული ერთადერთი ლეგენდითა და პროექტორით... ამბობენ, სოფლის სკოლებში ის ერთადერთი ადამიანია, რომელიც არაფერს ვამბობს „ჯეოსელის კლასზე“, რომელსაც მხოლოდ უცხოელი სტუმრების საჩვენებლად ვიყენებთ... ამბობენ, და მიუხედავად ამისა, მაინც შევძელი ავყოლოდი ტექნოლოგიურ ბუმს, ისტ-ის გამოყენებით გაკვეთილების დაგეგმვას... ინტეგრირებულ გაკვეთილებს ხან ისტორიასთან, ხან უცხო ენასთან, თქვენ წარმოიდგინეთ, მათემატიკასა და ფიზიკასთანაც ვიპოვე საერთო, ბავშვებთან ერთად შევქმენი ანიმაცია ნიკოლოს ტიფანიძის მინიატურა „გულის“ მიხედვით, ასევე გადავიღე ფილმი: „ჩვენ, ენა და ქუჩა“, რომელშიც ენის საჭირობოლო საკითხებს შევხე, უცხოელ პარტნიორებთანაც ვითანამშრომლე, ერთმანეთს ვირტუალურად გავაცანით ქვეყნის ტრადიციები, ხალხური თქმულებები, ხალხური მედიცინაც კი, ვამოგზაურე ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საქართველოს ყველა კუთხე მოვატარე, სამზარეულოშიც ვიტრიალე, თითქმის ყველა კერძი გავასინჯე... შემდეგ ტალინში მიმინვიეს, თავიანთი საჯარო სკოლები დამათვალისწინეს, მოსწავლეები გამაცნეს... ჩემი ცოცხალი, თვალბრწყინი ცეცხლანთებული მოსწავლეები ვერ შევიცანი მათში, არ იგრძნობოდა ის ემოცია, რომელსაც მე ვგრძნობ და ვხედავ ქართველ მოსწავლეში. დიას, არც მაშინ შემშინებია, როცა ჩემი ქვეყნის განათლების სამინისტრომ ვერ გადამწყვიტა, ბოლოს და ბოლოს, განათლების სისტემაში რა ცვლილებები შეეტანა, რა გზით ევლო... დიდხანს ვიარე უხეში ტყვიანითა და ზიგზაგებით და არა კობტა მრუდით, რაც ჩემთვის, მოსწავლეებისა და თავად სკოლისთვის, რთული პროცესი აღმოჩნდა. შემდეგ იყო სწავლა გამოცდისთვის, რაც ეხება სწორედ ამ ტიპის ტრენინგებს, როცა ჩვენ, მასწავლებლებს, გვამზადებდნენ ერთი კონკრეტული დღისთვის - სასერტიფიკაციო გამოცდისა ან ერთი კრედიტისთვის. ხანდახან რატომღაც ჰგონიათ ხოლმე, რომ მასწავლებელი, რომელიც ჩააბარებს გამოცდას და სერტიფიკატს აიღებს, ან კრე-

დიტულას დააგროვებს, განსაკუთრებული და გამორჩეულია. დიას, მე მიმაჩნია, რომ მიუხედავად ასაკისა, ვარ თანამედროვე მასწავლებელი, ხანდახან უფრო თანამედროვე, ვიდრე ჩემი მოსწავლეა, მაგრამ რა? ის, რაც იყო, აღარ არის... ის, რაც არის, მალე აღარ იქნება. იცვლება ადამიანი, იცვლება სამყარო. კულტურაც იცვლება... კულტურა, რომელიც ხალხშია. დრო ცვლის ყველას და ყველაფერს. ბავშვებს კი მასწავლებელი სჭირდება, რომელიც გაათბობს და არა უსულო რობოტი, რომელიც მასწავლებელს შეცვლის. არც მე, მასწავლებელს, არ მინდა ჩემი „მე“ მოკვდეს ჩემში. მინდა საკუთარი თავის რწმენა მქონდეს და არა რაღაც „მეტალის გროვისა“, რომელიც არც ვიცი, როდის მილაღატებს. მასწავლებელი მჭირდება... ფერადი, მზისფერი, ზღვისსუნიანი, მხიარული და მგრძობიარე. ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა, ადამიანი, ბუნება, დედამიწაც კი, რომელიც დიდი „ტექნიკური ბურთულა“ გახდა ჩემთვის. დღეს უკვირთ, როგორ ცხოვრობდნენო ტექნიკის გარეშე, როგორ უყვარდათ, როგორ მოძრაობდნენ ან როგორ ეკონტაქტობდნენ ერთმანეთს. ტექნიკა არ არსებობდა, მაგრამ ააგო არსაკიძემ სევეტიცხოველი... არა, არ ვუშინდები არც გამოწვევას, არც თანამედროვე მოთხოვნებს, არც შიში მაქვს სიახლისა, მაგრამ, კორტასარის მოთხრობა ნავიკითხე, „მშვიდობით, რობინზონ!“, რომელიც დაახლოებით მსგავს პრობლემასაა, როგორ გადასახვადი კრუზის კუნძულზე მე-20 საუკუნეში, როგორ შთანთქა ტექნიკურმა პროგრესმა ბუნება... ასე იქნება მანამ, სანამ „სწავლა სწავლისთვის“ არ იქნება პოპულარული. მანამდე კი ყველაფერი ილუზიაა: „იძირება გემი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა...“

ლია გომონია  
ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თემაზე „ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“.

- 2. ავტორი - მოსწავლე/ეხ/ის სახელი, გვარი;
- 3. ხელმძღვანელი პედაგოგი - სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
- 4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
- 5. სკოლის დირექტორი - სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
- 6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
- 7. ნიმუშის აღწერა

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უხუცესების მემკვიდრეობაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ჯგუფური, ისე სამაგიდო);
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

**პირველი ტური**  
გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენი გადავლენ მეორე ტურში.

**მეორე ტური**

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

**ნიმუშის წარდგენის ფორმა**

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

- 1. ვორდის ფაილში დანერგულ საკონკურსო ნამუშევარს;
  - 2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეოჩანაწერს. ფოტოები უნდა გადმოგზავნოს, ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწიერთად ერთად, jpg ფორმატში;
  - 3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილს ასევე jpg ფორმატით;
  - 4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).
- სასურველია, ნიმუში ჩაინეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.
- სასურველია, მოძიებული და ჩანერგული ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლაში უნდა გადმოგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com;
- ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
- ან მოგვანოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

**ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:**

- 1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში - თამაშის დასახელება;

- აღწერა ალწერა აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:
  - რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში - მოკლე განმარტება თამაშის შესახებ;
  - სახელწოდება (აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);
  - ნიმუშის ჩანერგის აღწერილობა - სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერგული ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მოთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნახსენები თავად ეს თამაში;
  - ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;
  - აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;
  - რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;
  - რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსირეთ ფოტოზე);
  - სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;
  - რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისთვის.
  - აღწერეთ თამაშის პროცესი
- სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე - ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.
- ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

**გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 20 მარტი**

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში  
599 08 40 03; ან 577 27 80 02  
aramaterialuri@yahoo.com

მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მონაწილე ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაშუქდება მედიის საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომავის“ წოდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

პროფესიული განვითარება

# როგორ მოვიპოვო სტატუსი: უფროსი → ნამყვანი → მენტორი

ლალი ჯალაძე

დღეის მონაცემებით, საქართველოში, მასწავლებლების უმეტესობა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების პრაქტიკის დაკვირვებით, ვინაიდან კვალიფიკაციის უზრუნველყოფის პრაქტიკის დაკვირვებით, მათი უმეტესობა სწორედ უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად იღვწის. უმეტესად საფუძვრზე გადასვლა პრაქტიკის დაკვირვებით, მათი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად იღვწის. უმეტესად საფუძვრზე გადასვლა პრაქტიკის დაკვირვებით, მათი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად იღვწის. უმეტესად საფუძვრზე გადასვლა პრაქტიკის დაკვირვებით, მათი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად იღვწის.

## უფროსი მასწავლებელი

ირინა სამსონიძე, უწყვეტი პროფესიული განათლების და კარიერული წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი: «ცვლილებების შემდეგ, უფროსი მასწავლებლისთვის სტატუსის შენარჩუნება ისევე დარჩა აუცილებელი მოთხოვნად. წინა სტეპის მიხედვით, სტატუსის შესანარჩუნებლად განსაზღვრული იყო 4 წელი, რომელშიც საბოლოო წელიც მოიაზრებოდა. ამ ვადაში იმისთვის, რომ მასწავლებელს შეენარჩუნებინა სტატუსი, 13 კრედიტულა უნდა დაეგროვებინა: 2 შიდა საგაკვეთილო დაკვირვებით – 4 კრ/ქ, გარე დაკვირვებით – 5 კრ/ქ და დამატებითი საქმიანობებით – 4 კრ/ქ. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ვერ შეინარჩუნებდა სტატუსს, სკოლა ვალდებული იყო, მასთან შრომითი ხელშეკრულება გაეწყვიტა, თუმცა, ვიდრე ამას გადაეტებდა, ინდივიდუალური საქმიანობისთვის, დამატებით, კიდევ ერთი წელი ეძლეოდა და უჩნდებოდა შანსი სტატუსის შესანარჩუნებლად. ცვლილების შემდეგ, მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად სამი წელი განისაზღვრა. ამ წინა განმავლობაში, მან უნდა შეძლოს იმავე რაოდენობის – 13 კრ/ქ დაგროვება, მაგრამ სავალდებულო აქტივობად მხოლოდ შიდა საგაკვეთილო დაკვირვებების გავლა რჩება, რითაც 4 კრედიტულას დააგროვებს, ხოლო დარჩენილ კრედიტულას დამატებითი აქტივობებით შეივსებს. ამ დამატებითი საქმიანობების ის შეარჩევს შეთავაზებული ჩამონათვალიდან, რომელიც გაცილებით ვრცელია და საერთოა უფროსი და ნამყვანი მასწავლებლებისთვის. რაც შეეხება გარე დაკვირვებას, როგორც ხედავთ, ის აღარ მოეთხოვება უფროს მასწავლებელს სტატუსის შესანარჩუნებლად.

თუ მასწავლებელი სამი წლის განმავლობაში ვერ შეინარჩუნებს უფროსის სტატუსს, მას დამატებით ერთი წელი მიეცემა გამოსასწორებლად – ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის... მაგრამ თუკი ვერც ასე შეძლებს შედეგების გაუმჯობესებას, ამ ეტაპზე აღსანიშნავია ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება. მასწავლებელი, რა თქმა უნდა, სტატუსს ვერ შეინარჩუნებს, მაგრამ სკოლიდან ნასვლის ნაცვლად ჩამოქვეითდება პრაქტიკოსი მასწავლებლის პოზიციაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ცვლილების თანახმად, მასწავლებელი სკოლიდან არ გადის. ის ხელახლა იწყებს უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებელი გზის გავლას. თუმცა, საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში მას უფროსი და ნამყვანი მასწავლებლისთვის განსაზღვრული დამატებითი საქმიანობების შესრულება მოუწევს.

ცვლილება ასევე ნამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების გზებშიც. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უფროს მასწავლებელს, რომელსაც ნამყვანის სტატუსის მოპოვება სურდა, სტეპის წინა ვერსიის მიხედვით, მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა – დაეგროვებინა 19 კრედიტულა, აქედან, სტატუსის შესანარჩუნებლად 13 კრ/ქ უნდა უმატებდა 6 კრ/ქ-ს, რომელსაც შიდა საგაკვეთილო დაკვირვებით (2 კრედიტულა), საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევით (2 კრედიტულა) და დამატებითი საქმიანობებით (2 კრედიტულა) მოიპოვებდა. ცვლილების შემდეგ, უფროს მასწავლებელს, რომელსაც სურვილი გაუჩნდებოდა, გახდეს ნამყვანი, სტეპი უკვე სამ ალტერნატიულ გზას სთავაზობს კარიერული წინსვლისთვის.

განვიხილოთ ეს გზები. ერთი გზა, როდესაც პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ისევე რჩება ერთ-ერთ აქტივობად და ის ისევე 2 კრედიტულა ფასდება. წინა სტეპში უფროსი მასწავლებლისთვის გარე დაკვირვება სტატუსის შესანარჩუნებლად ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობა იყო, ცვლილების შემდეგ, ეს მოთხოვნა მოიხსნა და მხოლოდ ნამყვანის სტატუსის მოსაპოვებლად იქცა სავალდებულოდ. გარე დაკვირვება სწორედ ამ ეტაპზე შემოდიხს, როგორც სავალდებულო აქტივობა, რისი საშუალებითაც მასწავლებელი 5-ის ნაცვლად 4 კრედიტულას მოიპოვებს. ამასთან, მან უნდა ჩაატაროს ორი სამოძრაო საკვლეო და ამ გზით მოიპოვოს 2 კრედიტულა. დანარჩენი 5 კრედიტულა მასწავლებელს დამატებითი აქტივობებით შეუძლია შეივსოს.

მეორე გზა განკუთვნილია მათთვის, ვინც სტეპის ძალაში შესვლის შემდეგ მოიპოვებს დოქტორის ან მასთან გათანაბრე-

ბულ აკადემიურ ხარისხს განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი სასწავლო წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, უფროსი მასწავლებელი ავტომატურად ხდება ნამყვანი, ყოველგვარი დამატებითი თუ სავალდებულო აქტივობების განხორციელების გარეშე.

მესამე გზა კი განკუთვნილია ორი კატეგორიის მასწავლებლებისთვის: ა) მათთვის, რომელთაც სტეპში განაწილების დროისთვის მინიჭებული ჰქონდათ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ბ) იმ მასწავლებლებისთვის, რომელთაც უფროსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭებული აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ. ეს მასწავლებლები გარე დაკვირვების წარმატებით გავლის შემთხვევაში პირდაპირ გადაინაცვლებენ მომდევნო საფეხურზე და გახდებიან ნამყვანი მასწავლებლები.

## ნამყვანი მასწავლებელი

სოფიო ლოყანიძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი: «ნამყვანი მასწავლებელს ორი შესაძლებლობა აქვს: ერთი – დააგროვოს გარკვეული რაოდენობის კრედიტები იმისთვის, რომ შეინარჩუნოს სტატუსი და მეორე – დააგროვოს დამატებითი კრედიტები (სავალდებულო თუ დამატებითი აქტივობებით), რომ გადავიდეს შემდეგ საფეხურზე და მიიღოს მენტორის სტატუსი.

რა ცვლილება განიცადა სტატუსის შენარჩუნებაში ამ მოპოვებაში? სტეპის წინა რედაქციაში, ნამყვანი მასწავლებელს, ხუთი წლის განმავლობაში, 17 კრედიტულა უნდა დაეგროვებინა იმისთვის, რომ სტატუსი შეენარჩუნებინა. კრედიტების ამ რაოდენობას აგროვებდა: 5 სამოძრაო საკვლეო ჩატარებით (5 კრ/ქ), ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევით (3 კრ/ქ), სასწავლო რესურსის ან პროფესიული ლიტერატურის შექმნით (2 კრ/ქ) და დამატებითი საქმიანობებით (7 კრ/ქ). ცვლილების შემდეგ, ნამყვანი მასწავლებელს 4 წელი ეძლევა, რომ სტატუსის შესანარჩუნებელი 17 კრედიტულა დააგროვოს. წინა სტეპის მიხედვით, სტატუსის შესანარჩუნებლად დას ერთი წელი მოაკლდა, სამაგიეროდ, მასწავლებლისთვის დასიკეთო ცვლილება განხორციელდა – 17 კრედიტულის დაგროვება მას მრავალფეროვანი დამატებითი აქტივობებით შეუძლია. დამატებითი აქტივობების ნუსხა მართლაც იმდენად გამრავალფეროვანია, ჩამონათვალის გარდა, პედაგოგს თავად შეუძლია აქტივობის ინიცირება და იმ შემთხვევაში, თუ ამ აქტივობას შეფასების ჯგუფი მოინდონებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, შეფასების კრიტერიუმებსაც დაადგენს. ამასთან ერთად, სტატუსის შესანარჩუნებელი კრედიტულების დაგროვებისთვის, მასწავლებელს შეუძლია, მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო სავალდებულო აქტივობებიც განახორციელოს. ბუნებრივია, ისევე როგორც სხვა სტატუსის შემთხვევაში, თუ შესანარჩუნებელ კრედიტულას ვერ დააგროვებს, ჩამოქვეითდება და, შესაბამისად, უფროსი მასწავლებლის საფეხურზე ჩამოინაცვლებს. ამის შემდეგ კი, კრედიტულების ათვალი ჩვეულებრივ ისევე იქნება, როგორც ხდება უფროსიდან ნამყვანამდე. ამიტომაც მას თავიდან მოუწევს, როგორც შესანარჩუნებელი, ისე შემდეგ საფეხურზე გადასასვლელი კრედიტულების დაგროვება. სტეპში ცვლილება იმ კუთხითაც, რომ კრედიტულა 5-ის ნაცვლად, ისე როგორც წინა სტეპში ხდებოდა (მენტორის დაგროვების შემთხვევაში), აღარ მოხდება – ყოველ შემდეგ საფეხურზე მასწავლებელი ნული ქულით გადავა, ანუ სტატუსის შეცვლის შემდეგ თავიდან დაიწყებს დაგროვებას.

ახლა რაც შეეხება მენტორის სტატუსის მოპოვებას – თუ მასწავლებელს ნამყვანის სტატუსის მოსაპოვებლად 17 კრედიტულის მოგროვება სჭირდება, მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად და ყველაზე მაღალ საფეხურზე გადასასვლელად 25 კრ/ქ უნდა დააგროვოს ძირითადი, ანუ სავალდებულო აქტივობებით – ოთხი სამოძრაო საკვლეო ჩატარება (4 კრ/ქ) – წინა სტეპის მიხედვით სავალდებულო იყო 5 სამოძრაო საკვლეო ჩატარება; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა (3 კრ/ქ); სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა (2 კრ/ქ); დანარჩენი 16 კრედიტი მას შეუძლია, დამატებითი აქტივობებით შეივსოს. თუ მასწავლებელი მოიპოვებს მენტორის სტატუსს, მას აღარ მოუწევს სტატუსის შესანარჩუნებელი კრედიტების დაგროვება, რადგან მენტორობა უვადოა. თუმცა, მენტორს გარკვეული ვალდებულებები ექისრება, რომელიც აუცილებლად უნდა განახორციელოს სკოლაში.

სტეპში კიდევ ერთი სიახლეა, რომლის მიხედვით, გამოწვევის შემთხვევაში (განსაკუთრებული დვანლისთვის, დამსახურებული წვლილისთვის, განსაკუთრებული აქტივობისთვის და ა.შ.), მინისტრის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია უფლებამოსილია, მასწავლებელს, კრედიტების დაგროვების გარეშე, მიანიჭოს ესა თუ ის სტატუსი.

## უფროსი და ნამყვანი მასწავლებლის დამატებითი სამიანობები და მისი შესაბამისი პრაქტიკული პროფესიული განვითარების მიმართულებით:

- კონფერენციებში მონაწილეობა – 1 კრედიტულა;
- სტაჟირება – 1 კრედიტულა;
- აკრედიტებული ან რეგისტრირებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა – 25 საათი 1 კრედიტულა;
- აკრედიტებული ან რეგისტრირებული ტრენინგ-მოდულის ტრენინგობა – 0,5 კრედიტულა;

• აკრედიტებული ან რეგისტრირებული ტრენინგის გავლა – 25 საათი 1 კრედიტულა;

• აკრედიტებული ან რეგისტრირებული პროფესიული განვითარების პროგრამის გავლა – კრედიტულების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად;

• სახელმწიფო ენის კურსის გავლა დადასტურებული ენის ფლობის დონის სერტიფიკატით – 2 კრედიტულა თითოეული დონისთვის;

• მასწავლებლის მიერ ინიცირებული ნებისმიერი დამატებითი საქმიანობა ამ მიმართულებით – კრედიტულებს განსაზღვრავს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით.

## სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით:

• სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სასწავლო წლის განმავლობაში – 1-2 კრედიტულა;

• სასწავლო პროექტები – 0,5 კრედიტულა;

• დისტანციური სწავლება – 0,5 კრედიტულა;

• კონკურსებისთვის, ოლიმპიადებისთვის, შეჯიბრებისთვის (მათ შორის სპორტული და სახელოვნო) მოსწავლის/მოსწავლეების მომზადება – 0,5 კრედიტულა;

• სასწავლებლის მიერ ინიცირებული სხვა დამატებითი საქმიანობა ამ მიმართულებით – კრედიტულები განისაზღვრება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით.

## კლასბარაში და სოციალური საქმიანობები:

• წლის განმავლობაში საკლუბო მუშაობის წარმართვა – 1 კრედიტულა;

• ნემსტრის განმავლობაში სანერეო მუშაობის (მათ შორის სპორტული და სახელოვნო) წარმართვა – 0,5 კრედიტულა;

• საზაფხულო სკოლის მოწყობა – 1 კრედიტულა;

• თავისუფალი საკვლეოები – 0,5 კრედიტულა;

• სოციალური პროექტები (მათ შორის მშობლებთან და თემთან მუშაობა) – 0,5 კრედიტულა;

• მასწავლებლის მიერ ინიცირებული სხვა დამატებითი საქმიანობა – კრედიტულები განისაზღვრება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით.

## პროფესიული თანამშრომლობა:

• სამოძრაო საკვლეოების ჩატარება – 1 კრედიტულა;

• რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა: სტატია – 1 კრედიტულა, მეთოდური ლიტერატურა – 2 კრედიტულა, გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა – 4 კრედიტულა;

• სტუდენტის ან სტუდენტების ჯგუფის კონსულტირება – 1 კრედიტულა;

• ზოგადი განათლების სფეროში შინაარსობრივ-კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნაში მონაწილეობა – 1 კრედიტულა;

• საგანმანათლებლო ბლოგის ავტორობა – 1 კრედიტულა;

• კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და მათში მონაწილეობა – 0,5-1 კრედიტულა;

• ფასილიტატობა – წელიწადში 3 კრედიტულა;

• მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრობა (გარდა ფასილიტატობისა) – წელიწადში 1 კრედიტულა;

• მასწავლებლის მიერ ინიცირებული სხვა დამატებითი საქმიანობა – კრედიტულები განისაზღვრება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით.



უფროსი და ნამყვანი მასწავლებლებისთვის დამატებითი აქტივობები ოთხ მიმართულებაში გადაწარმოდა. ეს მიმართულებებია: 1) პროფესიული განვითარება; 2) სასწავლო პროცესის გაუმჯობესება; 3) კლასგარეშე და სოციალური აქტივობები და 4) პროფესიული თანამშრომლობა.

ირინა სამსონიძე: „სახელმწიფო ამ ოთხი მიმართულებით ავალდებულებს სკოლებს და მასწავლებლებს, იმუშაონ და განახორციელონ თავიანთი აქტივობები, ხოლო მიმართულებების შიგნით მაქსიმალურად ფართო არჩევანს აძლევს მათ. თითოეული მიმართულების ფარგლებში, როგორც ხედავთ, მასწავლებელს საშუალება ეძლევა განსხვავებული აქტივობა შემოგვთავაზოს.“

სწორედ ამაზე მიუთითებს ეს ჩანაწერი თითოეული მიმართულების ბოლოს: მასწავლებლის მიერ ინიცირებული სხვა დამატებითი საქმიანობები. ერთი მხრივ, მასწავლებლებს ვაძლევთ აქტივობების გარკვეულ ჩამონათვალს, რომლისთვისაც შეფასების ინსტრუმენტები უკვე შევიშუშავეთ, მაგრამ არ გამოვიციხავთ იმასაც, რომ მას გაუჩნდეს ახალი იდეა და გამოხატოს ინიციატივა სხვა აქტივობის განსახორციელებლად. ეს მოხდა იმიტომ, რომ მასწავლებელი მკაცრად შემოსაზღვრულ ჩარჩოებში არ ყოფილიყო მოქცეული და მისთვის მეტი ინიციატივის, თავისუფლებისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალება მიეცემა. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელმა მის მიერ ინიცირებული აქტივობა თავდაპირველად სკოლის შეფასების ჯგუფთან უნდა შეათანხმოს. თანხმობის შემთხვევაში, შეფასების ჯგუფი მიმართავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და ისინი ერთობლივად განსაზღვრვენ კრედიტულულების რაოდენობას ცალკეული აქტივობისთვის. ცენტრი სამუშაოს მოცულობისა და საქმიანობის ტიპის გათვალისწინებით აძლევს სკოლას რეკომენდაციებს კრედიტულულების რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ასეთი აქტივობის შეფასების ინსტრუმენტს, მას სკოლა თავად ადგენს. ვფიქრობთ, ეს ძალიან კარგი ინიციატივაა იმ თვალსაზრისითაც, რომ ამგვარმა პრაქტიკამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს ახალი, საინტერესო აქტივობებისა და შეფასების ინსტრუმენტების დანერგვასა და გავრცელებას სკოლებში.

პოზიტიური სიახლეა სექტორში პროფესიული თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით მრავალფეროვანი აქტივობების შემოტანა. ეს უმნიშვნელოვანესია როგორც სასკოლო კულტურის, ისე თითოეული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის.

რაც შეეხება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიმართულებას, აქ მნიშვნელოვანი სიახლეა სასწავლო პროექტების დამატება აქტივობების ჩამონათვალში. სექსის ახალ რედაქციაში აისახა დისტანციური სწავლება. სიახლეა ასევე აქტივობა, რომელიც გაულისწობს ცალკეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების მომზადებას სხვადასხვა კონკურსებისთვის, ოლიმპიადებისა თუ შეჯიბრებისთვის.

რაც შეეხება კლასგარეშე საქმიანობების მიმართულებას, აქ აქტივობების დიდი ჩამონათვალაა. ეს მიმართულება მოიცავს სანერო მუშაობას, საზაფხულო სკოლის ან ბანაკის მოწყობას, თავისუფალი გაკვეთილების ჩატარებას (რომლის კონცეფციის შექმნა და შეფასების კრიტერიუმების მომზადება მთლიანად სამინისტროს პრეროგატივაა).

პროფესიული თანამშრომლობის მიმართულებას, ბევრ ნაცნობ აქტივობას, შეამჩნევთ, რომ დამატება ახლებიც, მაგალითად, კოლეგებთან შეხვედრების ორგანიზება და მათში მონაწილეობა. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის მხოლოდ შეხვედრებში მონაწილეობა ფასდება კრედიტულულებით, ხოლო უფროსი და ნაწყობი მასწავლებლებისთვის – როგორც ამ შეხვედრების ორგანიზება, ისე მათში მონაწილეობა. საინტერესო სიახლეა ასევე ისეთი აქტივობის დამატება, როგორცაა ზოგადი განათლების სფეროში შინაარსობრივ-კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნაში მონაწილეობა. მოგეხსენებათ, თელი განათლების სისტემა ეყრდნობა და ოპირირებს რამდენიმე კონცეპტუალურ დოკუმენტს. მათ შორისაა ეროვნული სასწავლო გეგმა, ასევე მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და ეთიკის კოდექსი. თუ მასწავლებელი წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებებს, რომ მან მონაწილეობა მიიღო ამ ტიპის დოკუმენტების შექმნაში, მას მიენიჭება კრედიტულა.

სავალდებულო აქტივობების წილი

| 2015-2016   | მეტროპოლი | წილი  | 2017        | მეტროპოლი                  | წილი |
|-------------|-----------|-------|-------------|----------------------------|------|
| აქტივობები  | -         | 19    | აქტივობები  | -                          | 19   |
| უფრო        | 13        | 19    | უფრო        | 13                         | 19   |
| სავალდებულო | 9/4       | 13/6  | სავალდებულო | 4/9                        | 8/11 |
| წინა        | 17        | 25    | წინა        | 17                         | 25   |
| სავალდებულო | 10/7      | 15/10 | სავალდებულო | 9/17                       | 9/16 |
| მეტროპოლი   | 30        | -     | მეტროპოლი   | 9 (მეტროპოლის სავალდებულო) | -    |
| სავალდებულო | 15/15     | -     | სავალდებულო | -                          | -    |

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება სექტორში სავალდებულო და დამატებით აქტივობებს შორის არსებულ პროპორციასაც შეეხო. ადვილად შესამჩნევია, რომ სექსის ახალ რედაქციაში სავალდებულო აქტივობათა წილი შემცირდა, ხოლო დამატებითი აქტივობების წილი გაიზარდა. მაგალითად, უფროს მასწავლებელს სტატუსის შესანარჩუნებლად განკუთვნილი 9 კრედიტულა სავალდებულო აქტივობებით უნდა მოეგროვებინა, ხოლო დამატებით – 4, წინსვლისთვის კი 13 კრედიტულა უნდა დაეგროვებინა სავალდებულო აქტივობებით, დამატებით – 6. ახალ ვერსიაში ეს შეფარდება საგრძნობლად შეიცვალა და ასე გამოიყურება: სტატუსის შესანარჩუნებლად უფროსმა მასწავლებელმა სავალდებულო აქტივობებით მხოლოდ 4 კრედიტულა უნდა მოიპოვოს, სტატუსის ასამაღლებლად კი – 8. სამაგიეროდ, გაიზარდა დამატებითი აქტივობების წილი და ასეთი შეფარდება გვაქვს: უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებისთვის – სავალდებულო 4, დამატებითი 9 (ჯამში 13 კრ/ქ), წინსვლისთვის კი – სავალდებულო 8, დამატებითი 11 (ჯამში 19 კრ/ქ).

ნაწყობი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად კი საერთოდ აღარ არის საჭირო სავალდებულო აქტივობების განხორციელება მაშინ, როცა, წინა სექსის მიხედვით, ამ სტატუსის შესანარჩუნებლად ნაწყობი მასწავლებელს სავალდებულო აქტივობებით 10 კრედიტულა უნდა დაეგროვებინა.

გაიმოსილება

ლექსიკური ყულაბის გასამდიდრებლად

ამას წინათ, მეექვსე კლასში გურამ დორნაშვილის „ყველაზე კარგი პაპა“ რომ ავხსენი, ბავშვების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ეპიზოდმა, განრისხებულ ხელმწიფეს ვეზირისთვის საყვედურის თქმა რომ უნდოდა და, რაკიდა სხვა სიტყვა არ იცოდა, მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „შე ცუდო, შენაო!“. ბავშვებთან ერთად ვიმსჯელებთ, როგორი ღარიბი ლექსიკა აქვს მეფეს, როგორ არ ახსენდება სხვა სალანძღავი სიტყვა, როგორ ვერ ხვდება, აქებენ თუ ავინებენ, როცა „გერგილიანსა“ თუ „ქველმოქმედს“ ეძახიან, ან „თავში მტრედები უფრენენო“, – ამბობენ მასზე. როგორც ამბობენ, მწირი და ღარიბი ლექსიკა ასეთივე მწირი და ღარიბი გონების ნიშანია, ჩვენი მოსწავლეების სამეტყველო ლექსიკა კი, სამსუხაროდ, სწორედ ასეთია. ბავშვები სულ თითებზე ჩამოსათვლელ ლექსიკურ ერთეულს სჯერდებიან წერისა თუ მეტყველებისას, ვერ ახერხებენ, შეარჩიონ ყველაზე შესაფერისი რამდენიმე ზედსართავი სახელი ერთი და იმავე საგნის დასახსიათებლად და ამით თავიანთი მეტყველება უფრო ხატოვანი და ემოციური გახადონ. სიტყვიერების ყველა მასწავლებელი წასწყდომია, ალბათ, შემთხვევას, როცა ამა თუ იმ გვირის, ამბის, მოვლენის დასახსიათებლად მოსწავლეები მხოლოდ შემდეგ ზედსართავებს იხსენებენ: კარგი, ცუდი, კეთილი, ბოროტი... თუ ამ პრობლემას დროზე არ მივხედვთ, მერე გვიანდა აღმოჩნდება „თითზე კბენანი“ და ლეონიძისა არ იყოს, „მუხლადი, ბედაური“ ქართული სიტყვა უკვლოდ გაქრება ბავშვების მეტყველებიდან. ზედსართავი სახელის ახსნისას კი მასწავლებელს ბევრი საშუალება აქვს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად. ეს პროცესი შეიძლება ძალიან საინტერესოც აღმოჩნდეს მათთვის.

შემოგთავაზებთ რამდენიმე აქტივობას, რომლებშიც ახალი და განსაკუთრებული, ალბათ, არაფერია, მაგრამ გამოცდილებიდან შემოძლია გითხრათ, რომ აპრობირებულია მეექვსე კლასში ზედსართავი სახელის ახსნისას და მოსწავლეებისაგან საინტერესოდაცაა მიჩნეული. მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ, წარმოადგინონ სწორი მოასფალტებელი გზა და გაზაფხულის ყვავილებით მოფენილი მინდორი. იმაშიც ადვილად შეთანხმდებიან, როგორი მომბეზრებელი და დამაძლელია, დიდხანს უფროს პირველი მათგანის უსახურ ერთფეროვნებას და როგორ ახარებს თვალს მეორე – სხვადასხვა ფორმის, ზომისა და შეფერილობის ყვავილებით მოქარგული ველი. სწორედ ამ დროს მივაქცივნივე ყურადღებას, რომ ამ მრავალფეროვნებას ზედსართავი სახელის საშუალებით გამოვხატავთ, სწორედ იგი ანიჭებს ჩვენს მეტყველებას ხატოვანებასა და ფერადოვნებას (თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც დასაცავია ოქროს შუალედი, რათა ისე არ გავიტაცდეთ ზედსართავი სახელების წინადადების „შემკვამა“, რომ უფრო დავამძიმოთ თხრობა და გადავტვირთოთ იგი გარეგნული „სამკაულებით“. თავდაპირველად მოსწავლეებს ვთავაზობ რამდენიმე გამოცანას ზედსართავების გარეშე. ფრჩხილებში ჩასმული ზედსართავები არ წამოიკითხავს მათთვის: 1) დედა-(ტურფა), მამა-(ჯღანკი), შვილი-(გადარეული); 2) (ლურჯი) აბრეშუმი სარკმლისკენ მიიწევს; 3) მოვიდა (თეთრი) მოზვერი, გააგდო (შავი) მოზვერი; 4) ფრინველია (გრძელკუდა, ჭარტალა, ქურდაცაცა); 5) (წითელი) ხარის ნაძოვში ბალახანი არ ამოდიანო.

რა თქმა უნდა, გაუჭირდათ ზედსართავების გარეშე, მწირი დახსიათებით, ამოეცნოთ ღვინო, ბოლი, დღე და ღამე, კაჭკაჭი, ცეცხლი. ამის შემდეგ, პირიქით, შეეთავაზებთ მხოლოდ ზედსართავების მოშველიებით დახსიათებულო საგანი, ამბავი თუ გმირი ამოეცნოთ, ამისათვის შესწავლილი ნაწარმოებებიც გამოიყენეთ: 1) ამ გვირის ამბავი ძალიან სევდიანია, ტკივილიანი, ცრემლისმომგვრელი, გულსაკლავი (შვლის ნუკრი); 2) იგი შეიძლება იყოს ჭრელიც, უსამართლოც, მშვენიერიც, საყვარელიც, დიდიც, პატარაც... (ქვეყანა – მისანიშნებლად კმარა სიტყვა „ჭრელი“, რომლითაც გ. დორნაშვილი ახსიათებს ქვეყანას თავის ზღაპარში); 3) იგი შეიძლება იყოს უტკბესიც და უმწარესიც, გრძელიც, ნაგებულიც და ჩაგდებულიც (ენა); 4) იგი შეიძლება იყოს მანუგებელიც, გულისმომკვლელიც და ამშენებელიც, დამანგრეველიც, გამაბედნიერებელიც და გამაუბედურებელიც (სიტყვა); 5) იგი შეიძლება იყოს ნორჩიც, ხასხასაც, დაკბილულიც, მწვანეც, აცახცახებულიც და უკანასკნელიც (ფოთლო); 6) იგი შეიძლება იყოს საინტერესოც, უინტერესოც, სურათებიანიც, სქელიც, თხელიც, ყდიანიც, უყდოც (წიგნი). ამ აქტივობის შესრულების შემდეგ მოსწავლეებმა დასკვნაც თავადვე გამოიტანეს, რომ ზედსართავი სახელის დახმარებით შეიძლება საგნის ამოცნობა მის დაუსახებლადაც კი, მისი გამოტოვებით კი ლაზათი აკლდება ტექსტს და ჭირს იმის მიხედვრაც, რის შესახებაა საუბარი. მეტყველების განვითარებისათვის შესანიშნავი საშუალებაა სურათის აღწერა ზედსართავი სახელის გამოყენებით, რაც, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს აჩვენებს სურათზე ასახული კონკრეტული საგნებისათვის შესაფერისი ზედსართავი სახელების შერჩევას, მშვენიერების დანახვისა და მისით ტკბობის უნარსაც გამოუმუშავებს მათ. სწორედ ამისთვის ვაჩვენებ ელენე ახვლედიანის ცნობილი ნახატის – „ზამთრის“ – რეპროდუქციას. მოსწავლეებს უნდა შეერჩიათ ზედსართავი

ვი სახელები სოფლის, ეზოების, სახლების, ღობეების, ხეებისათვის, უნდა აღვწერათ უკანა პლანზე გამოხატული მთები, სურათზე ნახაზი ბავშვები, მათი განწყობა, არ უნდა გამოჩვენოდათ სურათის კუთხეში მდგომი მოხუცი ქალები, აივნიდან მაცქერალი მოხუცი, სადღაც კუთხეში გამოსახული ხურჯინაკიდებული გლეხი, არ უნდა გამოჰპარვოდათ სურათის მარცხენა მხარეს ჩამავალი მზის სხივებით აელვარებული თოვლის უფრო ნათელი ფერი... არაერთი სურათის გამოყენება შეიძლება ამ ფუნქციით, მაგრამ ვიყენებ არა მხოლოდ ისეთ სურათებს, რომელთა აღწერისას უამრავი ზედსართავი სახელის მოხმობა შეიძლება, არამედ ისეთსაც, სადაც ზედსართავი როდი ჩანს დასახსიათებელი საგანი, სხვაგვარი ხედვა სჭირდება მათ დახვასა და გრძობას. ამიტომაც მივიტანე ერთხელ შევთვთერი სურათი ღარიბული ქოხისა. სურათის აღწერისას რამდენიმე მოსწავლემ შეძლო დაენახა გამოკეტილი ქოხის სვედაც, გაუსაძლისი ერთფეროვნების მომბეზრებლობაც, ნაცრისფერი ყოფაც, უნუგეშო ცხოვრებაც, შემგლისფერებული ცაც.

საინტერესო აღმოჩნდა შემდეგი აქტივობაც – ბავშვები ირჩევდნენ თანაკლასელს და თითოეული ახსიათებდა მას ერთი ზედსართავი სახელით, რომლითაც გამოხატავდა თანაკლასელის გარეგნულ მახასიათებლებსაც და მის ამა თუ იმ თვისებასაც. ასე დაიხატა რამდენიმე ბავშვის სიტყვიერი პორტრეტი – თმაუჭუჭხა თუ გრძელთმიანი, ცისფერთვალეა თუ შავთვალა, მაღალი თუ დაბალი, დინჯი თუ ონავარი, მშვიდი თუ დაუდგრომელი, ბეჯითი თუ ზარმაცი, გულისხმიერი თუ უდარდელი... – ათასგვარი ეპითეტით შემაკვსს მოსწავლეებმა ერთმანეთი (რა თქმა უნდა, კორექტულობის ფარგლებში).

ვიყენებ კიდევ ერთ აქტივობას – შესწავლილი ნაწარმოების გმირთა დახსიათება ზედსართავ სახელთა მოშველიებით. მუშაობენ წყვილები და ახსიათებენ ხელმწიფეს (გ. დორნაშვილის „ყველაზე კარგი პაპა“), უცხო მოყვებს (შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“), ნემის მოყვარულ კაცს (გ. მეტრიაშვილის „წვიმის მოყვარული კაცი“), სიტყვის პაპას (გ. დორნაშვილის დასახებებული ზღაპარი), ვარსკვლავიჭუნას (ოსკარ უაილდის „ვარსკვლავიჭუნა“), ეინარ მიხალინენს (ს. კლდიაშვილის „შორეული“), იოსებას (რ. ინანიშვილის „უმიშარი ბიჭი იოსება“) და ა.შ. მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრებისათვის არაჩვეულოვანი საშუალებაა სინონიმურ და ანტონიმურ ზედსართავებზე მუშაობა, ამისათვის ვაძლევ მათ ამა თუ იმ ზედსართავს და ვავალბებ, გაიხსენონ მისი სინონიმები და ანტონიმები, უნდა შეეცადონ, რომ თითოეულ ფორმას უპოვონ მაქსიმალური რაოდენობის სინონიმი და ანტონიმი (მაგალითად, შემდეგ ზედსართავებს: ენატკბული, ხელგაძლიერი, ძუნწი, ამაყი, ღარიბი, უშნო, ხარბი, გულკეთილი, ოტროველა, ორგული, ცრუ, მოხუცი, ჭკვიანი, ღონიერი, უმეცარი, ბეჯითი, მარდი, გერგილიანი, ფართო, ავსიტყვა...). ამ აქტივობაზე მუშაობისას, ცვდილობ, აუცილებლად დავუთმო გარკვეული დრო იმაზე საუბარსაც, რომ სინონიმები ყოველთვის თავისუფლად ვერ ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, მაგალითად, გამოთქმებში: „ჭკუას ასწავლის“, „ჭკუა ვერ ისწავლა“, ჭკუას მისი სინონიმით – გონებით ვერ შეეცვლით. ვერც წმინდასა და სუფთას შეუწაცვლებთ ერთმანეთს და მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ ამ ორი სინონიმის გამოყენების არეალი – თუ წმინდა შეიძლება გამოვიყენოთ, ვთქვათ, გრძობის, გულის, გონების, ტაძრის, ფიცის, სიყვარულის, სანთლის... და ა.შ. დასახსიათებლად, სუფთა შეიძლება იყოს ზენარი, ფეხსაცმელი, ქაღალდი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, ეზო და ა.შ.

ერთ-ერთ აქტივობას წარმოქმნილ ზედსართავ სახელებზე მუშაობისას ვიყენებ – ვაძლევ არსებით სახელებს და ვავალბებ მათგან ზედსართავი სახელების მიღებას. შეიძლება ამას კონკურსის სახეც მივცეს – გარკვეული დროის განმავლობაში ვინც მეტ ზედსართავ სახელს აწარმოებს შემდეგი არსებითი სახელებისაგან: ენა, ხელი, გული, თვალი, სული, ქუდი, პირი, მკლავი, თავი, შუბლი. როცა სიტყვა „გულიდან“ ზედსართავ სახელებს აწარმოებენ, როგორც წესი, რამდენიმე ახსენდებათ ხოლმე. სწორედ ამ დროს ვუკითხავ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონიდან ასამდე ზედსართავს, ამ სიტყვიდან წარმოებულს და თავადვე რწმუნდებიან, რა მდიდარი ენა გვაქვს. კიდევ უამრავი აქტივობის ჩამოთვლა შეიძლება, ვამუშავებ ზედსართავი სახელების გამოყენებით წინადადებების შედგენაზე, საბოლოოდ კი, კლასშივე ვაძლევ დამოუკიდებელ სამუშაოს – ძირეული და წარმოქმნილი ზედსართავი სახელების გამოყენებით აღწერონ თავიანთი საკლასო ოთახი ან სკოლა... ამ დავალებასაც არანაკლები ხალისითა და ინტერესით ასრულებენ და სწორედ ამიტომ მიჩნდება იმედი, რომ თითოეული ეს აქტივობა, საბოლოოდ, მათი ლექსიკის გამდიდრება-დახვეწას შეუწყობს ხელს.

ლილა ხონელიძე

სსიპ ქალაქ ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გაეცხვილება

შემაჯავებელი წერების ანალიზი VIII კლასში

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მოსწავლეებში წერი- თი აზროვნების უნარების - ანალიტიკური ანალიზის, მსჯელობის, პოეტური ტექსტების გა- აზრების, ინდივიდუალური აზროვნების განვითარება და დახვეწა. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნე- ნელობა აქვს შემაჯავებელ მუშაობას, რომლის რაოდენობა და მისალენი შედეგები ნათლად და განვიხილოთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია წერიტი შემაჯავებელი მუშაობის ანალიზი, რომელიც სემესტრის ბოლოს კეთდება. ეს სამუშაო ერთგვარი კვლევაა, რომელიც მასწავლებელს სასწავლო პროცესის საჭიროებისამებრ დაგეგმვაში ეხმარება და გამიზნულ- ია შედეგების გაუმჯობესებისათვის. თუმცა, უკეთესი იქნება არა მარტო წერიტი ფორმით განხორციელებული შემაჯავებელი სამუშაო, არამედ სხვადასხვა აქტივობის ჩანაცვლება, მაგ.: ზეპირი პრეზენტაცია, დისკუსია და სხვ. მაგრამ, რადგან მოსწავლეებს, მეტ-ნაკლებად, უჭირთ წერიტი აზროვნება და ეროვნული გამოცდებიც წერიტი უნარების წარმოჩენაზეა გათვლილი, პირველ სემესტრში შემაჯავებელი მუშაობის სწორედ ეს ფორმა ავირჩიეთ. ნი- ნამდებარე მასალაც წერიტი აქტივობით ჩატარებული სამუშაოს ანალიზია.

შემაჯავებელი დავალებების ანალიზი

კლასი - VIII

საგანი - ქართული

პედაგოგი - მარინე არაბიძე-აშვეთია

შემაჯავებელი წერის რაოდენობა - 4

შემაჯავებელი სამუშაოს შესრულების ფორმა - წერიტი მუშაობა

კლასში ჩატარებული შემაჯავებელი დავალებების შეფასება

საბნოპრივი სტანდარტის შესაბამისად, ესა-ს რომელ მისალენვ შედეგზე გადის კონკრეტული შემაჯავებელი დავალება

Table with 3 columns: №, კლასში ჩატარებული შემაჯავებელი დავალების თარიღი და თემატიკა, კლასის საბნოპრივი სტანდარტის შესაბამისად, რომელ მისალენვ შედეგზე გადის? and 4 rows of assessment data.

შემაჯავებელი დავალების შეფასების სქემა

Table with 5 columns: №1 სქემა, №2 სქემა, №3 სქემა, №4 სქემა and 1 row of assessment criteria.

Main table with 5 columns: №1 სქემა, №2 სქემა, №3 სქემა, №4 სქემა and 9 rows of detailed analysis for each criterion.

გამოსდილება

Table with 5 columns: ქულა, №1 სქემა, №2 სქემა, №3 სქემა, №4 სქემა. It details the results of the 10th grade mathematics exam across four different schemes.

\* თითოეული შემაჯამებელი დავალების ჩატარებისას მასწავლებელმა, შესაძლებელია, გამოიყენოს სხვადასხვა შეფასების სქემები, რომლებიც დანართის სახით დაერთვება.

შემაჯამებელი საშუალოს შედეგების ანალიზი

Table with 5 columns: შემაჯამებელი საშუალების ანგარიში, №1 შემაჯამებელი, №2 შემაჯამებელი, №3 შემაჯამებელი, №4 შემაჯამებელი. It provides a detailed analysis of the 10th grade mathematics exam results, including average scores and a breakdown of question types.

მიღებული შედეგების ანალიზი

მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ფლობს წერის სტრატეგიებს, თუმცა, წერისთვის დამახასიათებელი სირთულეების გათვალისწინებით, საჭიროა მეტი მუშაობა, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მეორე სემესტრისთვის.

დასკვნა

2016-17 სასწავლო წლის I სემესტრის განმავლობაში განეული მუშაობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა არის ხარვეზებიც. მეორე სემესტრში შემაჯამებელი წერითი მუშაობის გასაუმჯობესებლად დაიგეგმება აქტივობები, განმავითარებელი შეფასებებითა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შედეგები უნდა გაუმჯობესდეს.

რეკომენდაციები

რა უნდა იყოს გათვალისწინებული შედეგებზე რეაგირებისთვის? შედეგებზე რეაგირებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს მოცემული მონაცემები, კერძოდ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შემაჯამებელი ქულების საშუალო მაჩვენებელი, მეორე და მესამე შემაჯამებელში, უმჯობესდება, მაგრამ მე-4 წერის შედეგი ისევ პირველ ნიშნულს უბრუნდება.

მარინა არაბიძა-აშვითია სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინფორმაცია

ჩვენი ლამაზი ქვეყანა



ამა წლის 17 თებერვალს, ელენე ახვლედიანის საგამოფენო დარბაზში, ნორჩ მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსი ჩატარდა ეგიდით: „ჩვენი ლამაზი ქვეყანა“. მასში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შემოქმედ ბავშვთა და ახალგაზრდობის კავშირის „მომავლის ხმა“ წევრებმა: ლუკა შელიამ (17 წლის), ელენე ბაძალუამ (10 წლის), მარიამ ბაძალუამ (11 წლის), ნინო გერგაულმა (12 წლის), ვერიკო გერგაულმა (14 წლის), იოანა წულაიამ (17 წლის), თორნიკე კვეციანი (11 წლის), ნუციკო აფშილაძემ (15 წლის), ანა პაპავამ (13 წლის).

კეთესო ფერწერული სურათისთვის განსაკუთრებული პრიზითა და ფასიანი საჩუქრით. ლაურეატის დიპლომებით დაჯილდოვდნენ: ქეთი ჩხარჩხალია, ნუციკო აფშილაძე, ანა პაპავა და ნინო გერგაული. ღონისძიებაზე ქართული ხალხური და თანამედროვე საესტრადო სიმღერები წარმოადგინეს აფხაზეთის №2 ხელოვნების სკოლის ნორჩმა შემსრულებლებმა (სკოლის დირექტორი - ლელა უბილაძე). აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ღონისძიების ორგანიზატორს, ქალბატონ სვეტლანა ჩოჩიას, სრულიად უანგაროდ და ყოველგვარი საფასურის გარეშე პროექტში აფხაზეთის შემოქმედი მოზარდების ჩართულობისთვის.

ნონა ბერაია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, აფხაზეთის ბავშვთა და ახალგაზრდობის კავშირის „მომავლის ხმა“ დამფუძნებელი

„ქანბანის დღე“ სკოლაში



სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლაში (დირექტორი - ნათელა კიკაბიძე) ქიმიკ-ბიოლოგიის უფროსი მასწავლებლის, ირმა ჭანტურას ხელმძღვანელობით, განხორციელდა პროექტი „ჟანგბადის დღე“. პროექტის იდეა მე-9 კლასის მოსწავლეებს (დამრიგებელი - ლოლა ქურასბედიანი) ეკუთვნოდათ, გადაწყვიტეს სკოლაში რომელიმე ქიმიური ელემენტის დღე აღენიშნათ, შეარჩიეს ელემენტი „ჟანგბადი“, ჩატარების თარიღი - 16 თებერვალი. პროექტში აქტიურად ჩაერთნენ მე-8 კლასის მოსწავლეები (დამრიგებელი - ელიკო შუბლაძე) და მშობლები. შერეველასელებმა დაამზადეს აფიშა და საინფორმაციო ბუკლეტები, მეცხრეკლასელებმა საინფორმაციო სტენდი გააკეთეს და ჟანგბადის შესახებ რეფერატი დაამუშავეს. ღონისძიების დღეს, 16 თებერვალს, მოსწავლეებმა საზეიმოდ მორთეს დარბაზი, გამოფენილი იყო სხვადასხვა ნივთიერების მოლეკულათა მოდელები, ფერადი ბუშტები და ფერადი ფურცლებით დამზადებული ქიმიური სიმბოლოები. მოსწავლეებმა გამართეს საინფორმაციო ბუკლეტების, საინფორმაციო სტენდისა და რეფერატის პრეზენტაცია. დასასრულს წარმოადგინეს მინი-სპექტაკლი „ჟანგბადის გასამართლება“. „სასამართლო პროცესზე“ (მოსამართლე - ვასილ ჯობლაძე) ადამიანე-

ბის მიერ (თემურ გოგავა, მარიამ ქუჭიშვილი, დავით საფარიშვილი, შალვა შუბლაძე) წამოყენებულ ბრალდებებს ქიმიური ელემენტები (აზოტი - ანი ფირცხელავა, ნახშირბადი - ლია ფირცხელავა, რკინა - მარიამ გაბუნია) ეპაექრებოდნენ. ჟანგბადის (გიგა გაბუნია) ადვოკატი (ქეთევან გაბუნია) არგუმენტირებულად იცავდა ბრალდებულს. შთამბეჭდავი იყო ბრალდებული „ჟანგბადის“ საბოლოო სიტყვა, რომელმაც მოსამართლის გადაწყვეტილებაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა. ჟანგბადის გამართლება ფეიერვერკებით აღინიშნა. მას, სიურპრიზად, დაბადების დღეზე, მოსწავლეებმა მშობლების მიერ დამზადებული ტორტი მიართვეს, რასაც მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდა დარბაზი. განხორციელებულმა პროექტმა მშობლების, მოსწავლეებისა და დირექციის მაღალი შეფასება დაიმსახურა. პროექტი დადებითად შეფასდა მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების კათედრის სხდომაზე.

იზაბელა გაბუნია მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების კათედრის თავმჯდომარე, უფროსი მასწავლებელი

# მიქლავა მესხიერის 100 წლისთავს

რამდენიმე წელია გაზეთ „ახალ განათლებაში“, პერიოდულად, იბეჭდება სკოლა ლიცეუმ „მნივნობარტუხუცესის“ პროექტი „არდავინყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“, რომელიც ეძღვნება აშშ-ში მყოფ თაობის ემიგრანტთა განვლილ ცხოვრებას. პროექტში ჩაერთნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საერთაშორისო ურთიერთობების კაბინეტის წევრები, პედაგოგ ნანა ბურჯაძის ხელმძღვანელობით (პროექტს ახორციელებს ქიმიის პედაგოგი ა/დ ქეთევან ქიქოძე).



„როდესაც ღმერთი სამშობლოს სიყვარულსა და სხვა ამგვარ მცნებებს ზეციდან მოკვდევებისთვის აფრქვევდა, ჩვენ, ქართველებს „ზონტიკი“ გვეჭირა და ახლაც ვერ მოვსულვართ გონზე.“ ვახტანგ ჯობაძე

2017 წლის 18 მარტს დიდ მეცნიერს, ვახტანგ ჯობაძეს 100 წელი უსრულდება. ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ამერიკაში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი – მედიკოსი, არქეოლოგი, ხელოვნებათმცოდნე, ტაო-კლარჯეთის და შავი მთის ქართველთა კოლონიის უბადლო მკვლევარი, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის დეპარტამენტის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი იმ ქართველ მეცნიერთა პლეადას მიეკუთვნებოდა, ვინც თბილისის უნივერსიტეტის სრული კურსი დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა.

დაიბადა თბილისში, 1917 წლის 18 მარტს. მამა – ნიკოლოზი პროფესორი ეკონომისტი იყო, რომელსაც პარიზში მცხოვრები ქალბატონი თაქთაქიშვილი ანგელოზად მოიხსენიებს, დედა – ეკატერინე. 1935 წელს სკოლა დაამთავრა. 1940 წელს – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ასპირანტურაში გიორგი ჩუბინაშვილთან მოხვდა, მუშაობდა საკანდიდატო დისერტაციაზე: „სამცხის ათაბაგების პორტრეტული გამოსახულებები საფარასა და ჭულეში“. თითქოს გამოიკვეთა მისი მომავალი მოღვაწეობის კონტურები, მაგრამ მორე მსოფლიო ომმა ძირფესვიანად შეცვალა ვახტანგ ჯობაძის შემდგომი ცხოვრება.

მართალია, მას, როგორც უნივერსიტეტის ასპირანტს, „ჯავახიშვილი“ და ფრონტზე განვევა არ ეხებოდა, მაგრამ იგი მოხალისედ წავიდა ომში, ტყვედ ჩავარდა და ტყვეობის ჯოჯოხეთიც გამოიარა. ახალ ტყვეთა ბანაკში გადასვლას ბატონი ვახტანგი დიდი ტანჯვით იხსენებს: „აქ დაიწყო ტყვეობის ნამდვილი კომპარტი, რაც დღითი დღე უარესდებოდა, ბანაკს იმდენი ტყვეები ემატებოდა, რომ კაცი დასაჯდომ ადგილსაც კი ძნელად იპოვებდა. საზრდო თითქმის არ გვექონდა, დაიწყო შიმშილობა, დაავადებები და სიკვდილიანობის გახშირება. მდგომარეობამ კომპარტულ დონეს მიაღწია, როდესაც ჯარისკაცები მკვდარი ამხანაგის ხორცის ჭამასაც არ ერიდებოდნენ.“ ბატონმა ვახტანგმა გამოსავალი იპოვა და ბანაკში სამზარეულო ააშენა, რამაც მდგომარეობა ცოტათი გამოასწორა. მაგრამ ყოველგვარი დაავადება მათ დღეებს თითებზე ითვლიდა. ამ სასონარკვეთელ ხანაში, ბანაკში გამოცხადდნენ ძველი ქართველი ემიგრანტები, რომელთა უმრავლესობამ სამშობლო მიატოვა და უცხო ქვეყანაში ლტოლვა არჩია. ისინი სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ ქართველი ტყვეების სიკვდილის ბანაკიდან დახსნას. ბატონ ვახტანგს გვარი შეუცვალეს, როგორც პავლე ციციშვილის ნათესავი გამოიყვანეს ბანაკიდან და გაამწესეს ბრანდენბურგის მონადირეთა დივიზიაში, როგორც „მოფერი“. დიდი წვალეების შემდეგ ის ჩავიდა გერმანიაში. შვიდ ყმანვითან ერთად, დღის ნახევარს მოტორების მოქმედების სწავლაში და ავტომობილის რეცხვაში ატარებდა, ხოლო მეორე ნახევარს – სამხედრო ვარჯიშში. სამხედრო სამზადის-სწავლება დაძაბული არ ყოფილა. ბატონი ვახტანგი ქალაქში ხშირად დადიოდა, გაცივებული იყო გერმანელი ხალხის საქციელით. უაღრესი სისუფთავე, წესრიგი და საქმიანობა „ადამიან-ფუტკრებისა“ მისთვის თავბრუდამხვევი იყო, ამ ერის კულტურამ და ღირსებებმა მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. 1944 წლის ბოლო თვეებში, ყველასთვის აშკარა იყო, რომ გერმანია ომს აგებდა, ხალხს საგრძნობი შიში დაეჭყო. გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, რითაც აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა და ბატონი ვახტანგიც შიმში შეიპყრო. თავის ქვეყანაში ვერ გადადიოდნენ, ამიტომაც მან და მისმა მეგობარმა, როზმარიმ, თავი ტყვეს შეაფარეს. ცუდი ამინდის დროს, მახლობელ ნაცრობა გულხთან მიდიოდნენ, რომელიც კვებავდა და ბოსლის სხვენზე თივაში აძინებდა. გული სტიკოდა, რომ როზმარიც იზიარებდა მის სახიფათო ცხოვრებას, თუმცა ასეთ ყოფას დიდხანს ვეღარ გაუძლეს და როზმარის დედა-მამასთან

მივიდნენ, რომელნიც თავადაც, რეგენსბურგის მახლობლად, ერთ კეთილშობილ მემამულეს აფარებდნენ თავს.

მართალია ბატონი ვახტანგი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ იცოდა, რომ სამშობლოში დაბრუნებულს დახვრეტა ან გადასახლება არ ასცდებოდა. ამიტომ იძულებული გახდა უცხოეთში დარჩენილიყო და ცხოვრების 60 წელზე მეტი საქართველოს გარეთ გაატარა. უცხოეთის ცის ქვეშ უთვისტომოდ დარჩენილმა, დიდი ტანჯვითა და წვალეებით მოახერხა ესწავლა გიოტინგენის, ფრაიბურგის, ერლანგენისა და სორბონის უნივერსიტეტებში, სადაც მისი ლექტორები იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები – ეგზისტენციალიზმის უდიდესი წარმომადგენელი, ფილოსოფოსი კარლ იასპერსი, არქეოლოგი ალფონს შნაიდერი (ნოქალაქევის პირველი გათხრების ხელმძღვანელი 1930-31 წლებში) და ცნობილი ანდრე გრაბარი. 1949 წელს ვახტანგ ჯობაძე ფილოსოფიის დოქტორი გახდა ქართული ოქრომჭედლობის უნიკალურ ნიმუშზე – ხახულის ხატზე დაცული დისერტაციისათვის. წლების განმავლობაში, იგი მუშაობდა ვეროპის ქვეყნების სიძველეთსაცავებში, სადაც იკვლევდა იქ გაფანტულ ქართულ ძეგლებს.

1953 წელს ვახტანგ ჯობაძემ ამერიკაში მცხოვრებ მეგობრებს სთხოვა, მისთვის მოსაწვევი დოკუმენტები გაეგზავნათ. მალე ნიუ-იორკში მყოფ თავად გურიელისგან მიიღო მოსაწვევი ბარათი და აფიდვიტი. ამავე წლის მაისში ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ. „გემის ცხვირიდან შევსცქერი ამ სანაქებო ქალაქს და გაბრუებული ვარ. ცათამბჯენი, თვალუწვდელი შენობებით, „liberty“-ს ფიზიკური განსახიერებები, ჩირაღდნიანი უზარმაზარ შარავანდედიანი ძეგლით. მომადგა პოსტის ვილად მუშა, რომელიც ცდილობდა მსხვილი თოკებით გემის პოსტზე მიბმას. ეს პირველი ამერიკელი, რომელიც ამერიკაში შემხვდა, მეკითხება: როგორ მოგწონს ამერიკა? – ნანახ განცდილით გაბრუებულმა ველარ მოვახერხე პასუხის გაცემა, მაშინ თვითონვე მიპასუხა: კარგი ქვეყანაა, არავინ გკითხავს თუ ვინ არის მამაშენი.“

მისი პირველი მასპინძელი იყო ბატონი სიკო ერისთავი, რომელსაც საოჯახო საქმეებში უნდა დახმარებოდა, რაშიც იგი გასამრჯელოს იღებდა. მეორე ქართველ-ამერიკელი იყო ცარისტული არმიის მაღალი ოფიცერი ვანო ამილახვარი.

მესამე კი – თავადი ემზუარი, რომელიც უსახსრობის გამო „ზანგებს“ კვარტალში ცხოვრობდა: „ორიოდ გროშს რომ იშოვნიდა, ტკბილულს ყიდულობდა და ზანგის ბავშვებს ურიგებდა. თავისი გულკეთილობის გამო, შავკანიანები დიდ პატივს ცემდნენ და როდესაც გარდაიცვალა, მისი ნეშტი არავის დაანებეს და მართლა მეფურად, ზანგური ვალობით თითონ დაასაფლავეს.“

ბატონი ვახტანგი ასევე დაუმეგობრდა ჩინებულ პიანისტს ირაკლი ორბელიანს, ლეო დუმბაძეს – ქართველების სათვისტომოს თავმჯდომარეს, ჯუნა ახმეტელს – რეჟისორ სანდრო ახმეტელის შვილს, გივი ფორაქიშვილს, რომელსაც გერმანიიდან იცნობდა, გოგი ლოლობერიძეს, მამია ზაქარაძეს, ალექსანდრე (მუშუა) სულხანიშვილს, ვანო ნაწუაშვილს, დავით მდივანს, პროფესორ კირილე თუმანიშვილს.

ამერიკაში ჩასულმა სრული სამსახური იშოვა კოლეჯ პოინტიში, სადაც დაიწყო მუშაობა ე.წ. Lilly Tulip-ის კომპანიის ერთ-ერთ ქარხანაში, რომელიც პარაფინით გასანთლულ ქალაქის ქიქებს ამზადებდა. მისი დირექტორი იყო თევდორე გაბელია, ვახტანგს მასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ეს ქარხანა ქართველთა თავმჯდომარედ იქცა.

ბატონი ვახტანგი დიდ მადლიერებას გამოხატავს ჯონდი დადიანის მიმართ, ის იხსენებს: „სამშობლოში ჩემი მეუღლის და ახლად დაბადებული ვაჟის ყოფნა 4300 დოლარ დაჯდა, გადახდის გარეშე ბავშვის გამოყვანა შეუძლებელი იყო. სასონარკვეთაში მყოფს, ქართველთა სათვისტომოში, ნინაობის დღეს, ჩემთვის უცნობმა კეთილშობილმა ჯონდი დადიანმა გადმომცა ჩეკი, ჩემი ვალის გადასახდელად. მოკოლადი და ყვავილეთი კი ჩემი ძვირფასი მეუღლისთვის გამომატებან.“ ინციდენტის გამო მოუწია სამსახურის დატოვება, ფული უკვე დაგროვილი ჰქონდა და ჯონდი დადიანს ვალი გადაუხადა.



ვახტანგ ჯობაძის მეუღლე ირინე შვილ მისხოსთან და დედასთან ერთად

მუშაობდა ჰარვარდის, იუტისა და ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტებში, სადაც ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს განაგებდა. იგი უცხოეთში მოღვაწე ერთადერთი მკვლევარი იყო, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლას მიუძღვნა. დიდხანს იმუშავა ტაო-კლარჯეთის, ანტიოქიისა და კვიპროსის ქარ-

თულ ძეგლებზე, რაშიც განუზომელი იყო მისი მეუღლის, ფილოსოფიის დოქტორის, საფრანგეთის, ინგლისისა და ესპანეთის თანამედროვე ლიტერატურის სპეციალისტის ირინე ბიბერის ღვაწლი, რომელმაც საკუთარი 6-სართულიანი სახლი გერმანიაში, თავისი მალაზიებით, გაყიდა და აღებული თანხით, თითქმის მეოთხედი საუკუნე, ამუშავა ნოსტალგიაშიძელებული მეუღლე ტაო-კლარჯეთის ქართულ ძეგლებზე.

ბატონმა ვახტანგმა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოვლენასა და შესწავლას შეაღია მთელი თავისი ენერჯია. ანტიოქია – ეს იყო ქალაქი, სადაც პირველად შეიქმნა და წარმოიქმნა სიტყვა „ქრისტიანი“, მის დასავლეთით მდებარე მონასტრების დიდი ნაწილი, VI საუკუნის 20-იან წლებში, კატასტროფული მიწისძვრის შედეგად, მიწასთან გასწორდა. X-XI სს-ში ქართველებმა აღადგინეს. ანტიოქიაში 13 ქართული მონასტერი მოიძია, გათხარა მხოლოდ სამი, მათ შორის, წმინდა სვიმეონ საკვირველმოქმედის საფანე და წმინდა ბარლამის მონასტერი, ადრექრისტიანული ხანისა. 1981 წელს, კუნძულ კვიპროსზე, აღმოაჩინა ლალის მონასტრის ნანგრევები, რომლის გათხრებისა და კონსერვაციის მეორე ეტაპზე, 2006-2007 წლებში, ქართველი მეცნიერების და სტუდენტების ჯგუფი მუშაობდა. უფრო გვიანდელი პერიოდისაა მავი ჯვრის უნიკალური ქართული ტაძარი „ძელი ცხოვრების“, იგივე ჯვრის მონასტერი. მეცნიერმა მოახდინა ამ იშვიათი ძეგლის რეკონსტრუქცია, მოცემული ეპოქისათვის ნიშნული სივრცითი ფორმებისა და ხუროთმოძღვრული სკულპტურის საშუალებით, დაასაბუთა ქართველ კირითხუროთა და ადგილობრივ ოსტატთაგან მისი აგების თარიღი – 1040 წელი. ნათელყო, რომ ქართველ ოსტატთა ხელობის კვალი სხვა მონასტრებსაც ჭარბად ატყვია.

თითქმის მეოთხედი საუკუნე შეაღია ბატონმა ვახტანგმა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოვლენასა და შესწავლას. ამ მიზნით, ხანმოკლე თუ ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებით, არაერთხელ იმოგზაურა თურქეთში. მას აქ გრიგოლ ხანძთელის მიერ VIII საუკუნის მინურულსა და IX საუკუნის პირველ ნახევარში აგებული და ამოქმედებული ყველა მონასტერი ანტიერესებდა. დიდი იყო მისი დანიტერესება დავით კურაპალატის დროს, X საუკუნის შუახანსა და XI საუკუნის დასაწყისში, აგებული მონასტრებითაც. არაერთჯერ მიაიარა არტანუჯი, ენერაბატის ეკლესია, რომელიც მისი ფიქრით შესაძლოა შატბერდი იყოს, აგრეთვე ბორჩხისა და იმერხევის ქართული დასახლებანი. სამწუხაროდ, რაც მიზეზთა გამო, აქ არქეოლოგიური კვლევების ჩატარება ვახტანგ ჯობაძემ ვერ შეძლო. არაა, იქ უნიკალურ ძეგლთა საქართველოა. ტაო-კლარჯეთში დღემდე მტნაკლები მხატვრული და ისტორიული ღირებულების მქონე 300-მდე ქართული ძეგლია შემორჩენილი, მათი ნაწილი უკვე დანგრევის პირასაა მისული. „უკეთეს“ ყოფაშია დოლისყანა, ხახული, პარხალი, რომლებიც მეჩეთებად გადააქციეს, უჭირს სამკონქიანი დიდი საკათედრო ტაძრის შესანიშნავ მოდელად მიჩნეულ ოშკს. 1973 წელს ვახტანგ ჯობაძემ ოშკის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს ჩასმულ ფილაზე აღმოაჩინა ბაგრატ IV ერისთავთ-ერისთავისა და დავით III მაგისტროსის (შემდგომში დავით დიდი კუროპალატის) გამოსახულებანი, რომელთა არსებობა მანამდე არცერთ მკვლევარს არ აღუნიშნავს.

ვახტანგ ჯობაძემ, თითქმის, მთელი ცხოვრება უცხოეთში არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოვლენას და შესწავლას შეაღია, მისთვის მუდმივი თაყვანისცემის ობიექტი მისი დიდი მასწავლებელი ივანე ჯავახიშვილი იყო. ისიც ნიშანდობლივი და სიმბოლური, რომ ამერიკიდან, უკანასკნელად, ბატონი ვახტანგი საქართველოში სწორედ ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ჩამოვიდა მოხსენების წასაკითხად.



ვახტანგ ჯობაძე და ლალი ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტში კონგრესზე

ვახტანგ ჯობაძის თხემით ტერფამდე ქართველობა არა მარტო უცხოეთში არსებულ ქართულ ძეგლებზე მრავალწლიან ზრუნვასა და ტაო-კლარჯეთის ქართული მონასტრების ბერმონაზონთა მუდმივ შემწეობაში იკვეთებოდა, არამედ იგრძნობოდა სულ მცირე ნიუანსებშიც. თუნდაც მისი ქალ-ვაჟის ქართულ სახლებში (ეთერი და ოთარი/მიხი), ან იმ გაუცნობიერებულ სივრცეებში, რომლითაც იგი თავის მეუღლეს, გერმანელ ქალს, ქართულად ირინეს ეძახდა და იმ ლამაზ, სუფთა ქართულშიც, რომლითაც საუბრობდა. ვახტანგ ჯობაძეს – მსოფლიოში აღიარებულ, ევროპული და აღმოსავლური ენების



ქველი ნათელი

მცოდნე მეცნიერს - არცერთი დღე არ უცხოვრია საქართველოს გარეშე. თავისი ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულს საქართველოს გარეშე ქართული კულტურის ძეგლების შესწავლითა და კვლევით იცავდა. 2007 წლის 18 მარტს, ლოს-ანჯელესში, ჰოლივუდის მეზობლად, ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ უბანში, მთის კალთაზე შეყუთულ ულამაზეს კარმიდამოში, რომელიც მალამოთიანი იმერეთის პეიზაჟს მოგვგონებთ, გარდაიცვალა თავისი ქვეყნის სიყვარულით დამაშვრალი ქართველი მეცნიერი. ანდერძის თანახმად, ბატონი ვახტანგ ჯობაძის ფერფლი მისმა ქალშვილმა - ეთერმა საქართველოში ჩამოსვენდა და კუკის სასაფლაოზე, მშობლების გვერდით მიაბარა მშობლიურ მიწას. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უნ-მინდვისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სამების საკათედრო ტაძარში პანაშვიდი გადაუხადეს და პატივი

მიაგეს სამშობლოსათვის დამაშვრალ დიდ მეცნიერს.

**ქათი ზივზივაძე**  
ქერძო სკოლა ლიცეუმ „მნივნობათუხუცესის“  
IX კლასის მოსწავლე

**P.S.** მე, ქეთი ზივზივაძე და თამუნა ხურცილავა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ემიგრაციისდარბაზში შევხვდით და ვესაუბრეთ ბატონ ვახტანგ ჯობაძის დის შვილს, მხატვარ ზურა ფოცხიშვილს. აქვე, ქალბატონ ნათია კობახიძის და ბატონ ლევან თაქთაქიშვილის დახმარებით, გავეცანით ბატონი ვახტანგის არქივს - მის მიერ გადაღებულ ქართული კულტურის ძეგლების და მონასტრების ფოტომასალას, რომელიც ასოციაცია „კვალის“ პრეზიდენტმა, ბატონმა შოთა ვაშაქიძემ გადასცა ეროვნულ ბიბლიოთეკას.



თქალსაზრისი

რატომ იწერება ამბავარი წიგნები?

ზამთრის არდადეგების დროს „მასწავლებლის წიგნი“ რუბრიკით გამოსული ერთი წიგნის ნაკითხვა გადავწყვიტე, ერთ დიდ პრობლემას საფუძვლიანად შევისწავლი-მეთქი, მაგრამ ისე ქვეყნის მტერებს აუხდეთ სურვილი, როგორც მე ამხიდა.

დავინყე კითხვა და დაიწყო ჩემი ტანჯვა, წიგნი ბოლომდე ძლივს წავიკითხე.

რა მოხდა ასე უსაშველო? ახლავ თქვენ თვითონ გაცემთ პასუხს, მკითხველო, მე კი მაგალითებს მოგაწვდით: „შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და არ იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას“. რაღაც ვერ გავიგე და ლექსიკონს მივმართე. „ინტერპრეტაცია“ ნიშნავს: 1. განმარტება, ახსნა, აზრის ნათელიყოფა, გასაგებ ენაზე თარგმნა; 2. მოდელების აგება. 3. მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებითი წვდომა და შესრულება. ჩემთვის საინტერესო ნინადადგას პირველი განმარტება მიესადაგა. ჩავსვით ეს განმარტება ასახსნელ ადგილას: „შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და არ იძლეოდეს განმარტების, ახსნის, აზრის ნათელიყოფის საშუალებას“. როგორია? გამგები მიხვდება, ალბათ, რომ უნდა დანიშნულიყო: „შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და არ იძლეოდეს სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას“ ან „არ სჭირდებოდეს ინტერპრეტაციას“. ავტორს კი დაუწერია: „ისეთი ნათელი უნდა იყოს, არ იძლეოდეს აზრის ნათელიყოფის საშუალებას“.

ამას ჰქვია დაუკვირებლად წერა.

სხვა ნინადადგება ნახეთ: „პორტფოლიო ხდება მოსწავლემასწავლებლის ურთიერთობის და დისკუსიის ცენტრალური პუნქტი“. „პუნქტი“ ლათინური ყოფილა და ასეა ახსნილი: ადგილი (ქალაქი, სოფელი, დაბა), შენობა, სადაც მუშაობა (საქამობის) (ქეგლი, ტ. 6. გვ. 311). რა გამოვიდა: პორტფოლიო (საქამობის) (ქეგლი, ტ. 6. გვ. 311). რა გამოვიდა: პორტფოლიო (საქამობის) (ქეგლი, ტ. 6. გვ. 311). რა გამოვიდა: პორტფოლიო (საქამობის) (ქეგლი, ტ. 6. გვ. 311).

ამ მაგალითებში, ასე თუ ისე გაერკვევა კაცი, მაგრამ ნახეთ სხვა: 1. ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომების ევროპული განმარტება გულისხმობს პოლიტიკის, პროცედურების, წესების, კრიტერიუმების ინტეგრირებას და იმ ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გამოცდას, რომლებიც აუქმობენ სხვა განათლების ხარისხს სკოლაში; 2. (პირველი ნინადადგებიდან ცოტა დაშორებით) „სასკოლო განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პოლიტიკის, პროცედურების, დაგეგმვასთან დაკავშირებული პრაქტიკისა და აქტივობების, შეკრების, შეფასების, რეფლექსიისა და ხარისხის გაუმჯობესებისა კომპლექსური ღონისძიებების სასკოლო განათლებაში იმგვარ შერწყმას, რომელიც დაინტერესებული მხარეების მიერ შედეგად მოთხოვნებსა და მოლოდინებთან შესაბამისი იქნება“.

სჯობს ეს ნინადადგება სათამაშოდ გამოიყენოთ: რა საშუალებებითაა გართულებული მეორე პირველთან შედარებით? დღლარჭილი ფრაზების ახსნას კი ნუ შეეცდებით, მგონი, დროს ტყუილად დაკარგავთ. სჯობს სხვა სათამაშოებზე იმუშაოთ: 3. „ეფექტური საკლასო დისკუსიის, შეკითხვების აქტივობებისა და დაჯავლების აგება“. უნდა ახსნათ, რა ფუნქცია აკისრია აქ სიტყვას: „აგება“. 4. „სად“ არიან ისინი ამჟამად განვითარების საკუთარ ტრანეჟორიაზე?“ მინიშნებას მოცემით: „ტრანეჟორია“ ლათინური და ნიშნავს: „სხეულის ან წერტილის მოძრაობის გზას“ (ქეგლი, ტ. 6. გვ. 130).

ამ სათამაშოებში რომ გაერკვევით, უცხო სიტყვა-თქმებზე იმუშავეთ: რანჟირება, ფაზლი, ვალიდატორი, ვერიფიკატორი, სკინინგი, ინტერვენცია, დისტრაქტორები, რეიტინგის სკალები, ლოგიკური ჩარჩო, პრობლემის ხე, დელფის პანელი, ექსპერტთა პანელი, სენდვიჩის პრინციპი, პრო და კონტრა, დიქტომიური სქემა, რეპრეზენტაციულობა, სტატისტიკური მოდელირება და ა.შ.

ვიცი, რომ ლექსიკონები დაგჭირდებათ, დაგისახელებთ: მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა სასკოლო ლექსიკონი“ (თბ. 1999 წ.), მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (თბ. 1985 წ.), ს. თებულაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (თბ. 2007 წ.). ბოლო ლექსიკონები 27 ათასი სიტყვაა, ნინაში - 15500, მაგრამ ტყუილად ნუ დაკარგავთ დროს, ამ წიგნებში ჩვენ მიერ საძიებო სიტყვები არაა შეტანილი.

უფრო უკეთესია „განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის“ (თბ. 2007 წ.), მაგრამ, სამწუხროდ, ზემოთ დასახელებული სიტყვები არც აქ გვხვდება.

სხვას ველარაფერს გირჩევთ, გარდა ინგლისურ-ქართული ლექსიკონებისა, მაგრამ შედეგზე ვერაფერს გეტყვით, რადგან თავად არ მიცდია მათი გამოყენება.

წიგნში, რომლის შესახებაც ვსაუბრობ, არის ერთი ავტორის

ნამუშევარი, რომელიც მარტივად და გასაგებადაა გადმოცემული სათქმელი, მაგრამ მასში სხვა ხარვეზია: შეფასების სქემებში დონეები (დაბალი, დამაკმაყოფილებელი, საშუალო, წარმატებული) არეულია, ერთადაა ჩამოყალიბებული 4-5, 4-6 (დაბალი და დამაკმაყოფილებელი), 6-7 (დამაკმაყოფილებელი და საშუალო), 8-10 (საშუალო და წარმატებული). კრიტერიუმების ამგვარად განვარაგებამ ისინი გამოუსადეგარი გახადა.

ყველაფერ ამის შემდეგ მინდა დავსვა კითხვა: ვისთვის იწერება წიგნები? პედაგოგებისთვის ამგვარად წერა შეიძლება?

ეს კითხვები რომ რიტორიკულია, იოლად გასაგებია, მაგრამ რატომ ხდება ასე? ვისი ბრალია, ავტორების? მე მათი გვარები შეგნებულად არ დავასახელებ, რადგან მიზეზი უფრო შორს მიდის, მაგრამ განათლების სამინისტროსთან „არ ჩერდება“.

არსებობს გასაგებად დაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმა, არაერთი „გზამკვეთი“ და არსებობს საინტერესოდ საკითხავი გაზეთი „ახალი განათლება“, შედარებით იოლად საკითხავი პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“. ამ ჩამონათვალში თითქმის არ არის კითხვის სირთულე.

რა გამოდის, სად ვეძებთ უცხოური ტერმინოლოგიით გაუმართლებელი გატაცების საფუძველზე თუ ეს მოდა გახდა, რატომ არ ხდება ამგვარი რამ მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას? პასუხი შეიძლება გავცეთ ასეთი: „დღლარჭილი“ ნაწარმოებები არ გაიყიდება.

ჰოლდა, ამის თქმა მინდა, ამგვარი საგანმანათლებლო ლიტერატურა სკოლაში არ წაკითხება და ტყუილად რას ირჯებით, მაგანო?

ისე ხომ არ გვემართება, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში რომ წარჩინებულთა ოჯახებში აღარ კადრულნიდნენ ქართულ ენაზე საუბარს?

ან რად გვიწად ამდენი უცხო სიტყვა, როცა შესანიშნავი ქართული შესატყვისები გვაქვს? რით სჯობია „კურიკულუმი“ - სასწავლო გეგმას, „პილოტირება“ - სიახლის გამოცდას, „პორტფოლიო“ - საქალაქურ, „პრეზენტაცია“ - წარდგენას, „ფასილიტაცია“ - დახმარებას, „ტრენინგი“ - წვრთნას, „შოუ“ - სანახაობას? რატომ არქმევენ დანახელებულ ინგლისურ სახელებს, ორ ენაზე მაინც დაანერონ, უცხოელები ხომ თავიანთ ოფისებზე ქართულ წარწერებს არ აკეთებენ?

ეს და სხვა ბევრი კითხვაც სახელმწიფოს დამოკიდებულე-ბამდე მიდის. სწორედ ამ დამოკიდებულებასაა „გაუცხოებისადმი“ მიდრეკილება.

ასეთი საფრთხის წინაშე ქვეყანა სხვა დროსაც იდგა, მაგრამ მაშინ ქართულმა ინტელიგენციამ გასაოცარი ეროვნულ-ლოლა გამოიჩინა და გასაოცარ შედეგებსაც მიაღწია.

მგონი, არ იქნება ურიგო მაგანთა გასაგონად ამ საკითხზე შეჩერება.

დავინყებ ილია ჭავჭავაძით: ჯერ წერის სტილი ვნახოთ: პროტექციონიზმა მოსარჩლეობაა; პაშვლეტი იქნება, თუ ძაგება, რეკლამა - თუ ქება. ახლა ეს სამივე სიტყვა დამკვიდრებულია ქართულ ლექსიკონში. როგორც ჩანს, ილია წერდა და უცხო სიტყვებს იქვე განმარტავდა.

არ შეიძლება, ასე მაინც მოიქცნენ საგანმანათლებლო ტერმინოლოგიის მთარგმნელები? უცხო სიტყვის იქვე განმარტება ხომ გააიოლებს კითხვას.

ყველამ იცის, რომ ილიამ „პივის“ მაგივრად დაამკვიდრა ლული, „გაბისს“ მაგივრად - თაბაშირი, „კოპიოს“ ნაცვლად - ასლი. ილიამ ძველი ქართულიდან დაამკვიდრა ტერმინები: მოხელე, ხელისუფალი, ხელისუფლება, „დედამინის“ მსგავსად, დედაბრ.

აკაკი წერეთელს შეუქმნია სიტყვები: გაიძვერა, ბობოლა, შეხმატკბილება. ნიკო ნიკოლაძის დედა თურმე საბანს კერავდა და მთელ სიგრძეზე ფერადი ძაფებით ხაზებს ავლებდა. დედა, რას აკეთებო? - უკითხავს ნიკო ნიკოლაძეს. საბანს ვალიანდაგებ, შვილო. ევრიკა! - უყვირია მწერალს არქიმედესავით, - ლიანდაგი, რკინიგზის ლიანდაგი! - ასე დამკვიდრებულა ეს სიტყვა ჩვენში. ნიკო ნიკოლაძეს შეუქმნია სიტყვა ორთქლმავალი, რომლის მიბაძვით შექმნილა: ელმავალი, თბომავალი, თვითმავალი...

გიორგი ნიკოლაძეს შეუქმნია სიტყვები: განტოლება, ტანვარჯიში, მსაჯი. ამგვარი მიდგომით უმოქმედიამე-20 საუკუნის 20-იანი წლების ინტელიგენციას.

საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებას, 1920 წელს გამოუცია რუსულ-ქართული ტექნიკური სიტყვარი და დამკვიდრებულა ქართული სიტყვები: დენი, სადენი, ნათურა, წნევა, ძრავა, ხრახნი, სინჯარა, ნყალბადი, ჟანგბადი, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი და ა.შ.

თურმე სიტყვა „ასანთი“ აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძეს შეუქმნია, „აღქმა“, „განწყობა“, „განწყობილება“ - აკა-

დემიკოს დიმიტრი უზნაძეს, „ლილივი“ სულხან-საბას ლექსიკონიდან ამოულიათ, „სარეველი“ ნიკო კეცხოველს მიუგნია და ივანე ჯავახიშვილს „სარეველა“-დ დაუხვეწია. სიტყვა „დიდოსტატი“ კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის (ეს მაგალითები მოვიტანე ზურაბ ჭყუბურიძის წიგნიდან „დედაენა ქართული“ (თბ. 1987 წ.).

ასე რომ არ მოქცეულიყვნენ ქართველი მეცნიერები და მწერლები, „მოფრების“ ენას დაემსგავსებოდა ქართული. სიტყვა „მოფერი“ კი დამკვიდრდა, მაგრამ პაკრიშკა, კუზო, რული, კლუჩი, ბოლტი, გაიკა მოფრების მტყვევლებიდან წიგნებში ვერ შევიდა.

ვერ ვიტყვი, რომ დღეს აღარავის აინტერესებს ენის დანაგვიანების წუხილი. 2014 წელს ვუყურე ტელევიზიაში პროფესორების - ლევან ლეინჯილიას და ამირან არაბულის „მოთქმას“ ამის გამო და გავიხარე, როცა 2015 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ქართული ენის სამსახურის შექმნის შესახებ, მაგრამ უკვე 2017 დაიწყო და ეს კანონი არ ამოქმედებულა. ეჭვი შემეპარა, იქნებ სასურველი სინამდვილე აღვიქვი, ხომ არ მომწვენიება-მეთქი?

იმ „ავადსახსენებელი“ და უკვე დაქცეული საბჭოთა ხელი-სუფლების დროს არსებობდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სამთავრობო კომისია“, „სახელმწიფო ენის დაცვის სამსახური“, დამოუკიდებელ საქართველოში კი ორივე გაქრა. უფრო არ უნდა გაძლიერებულიყო? იმ ავბედითი საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1941 წელს, გამოიცა ვარლამ თოფურიასა და ივანე გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, მისი შეესებულები გამოცემა კი 1968 წელს მიენოდა მკითხველს. ვერ წარმომიდგენია, როგორ მუშაობენ ქართულის მასწავლებლები ამ წიგნის გარეშე, არა და სასკოლო ბიბლიოთეკებში იხინი თითქმის არ არის. ამის გაკეთებაც არ შეიძლება?

1950-1964 წლებში გამოიცა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული 112949 სიტყვით, მისი ორტომეულები დაიბეჭდა დამოუკიდებელ ქვეყანაშიც, მაგრამ არც ესაა საკმარისი, დღეს რომ ახალი ლექსიკონი გაკეთდეს, არ შეიძლება? მაგრამ ვინ გააკეთებს ამას?

იმ ავბედითი საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1979 წელს, ქართველებმა იმპერიას არ მისცეს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმების საშუალება, დღეს კი თავად ვე-ჯიბრითი ერთმანეთს უცხო სიტყვების დამკვიდრებაში - უბრალო ხალხის საქილიკო გახდა, ერთი მინისტრობის კანდიდატს როგორ გაეწხირა ყელში რომელიღაც ინგლისური სიტყვა...

ერთი ნუთითაც არ ვფიქრობ, რომ უცხო ტერმინოლოგია ხელალებით უკუვაგდოთ, მაგრამ, თუ შესაბამისი სიტყვები არსებობს, რატომ ვართულებთ საქმეს? რატომ ჩაყარეს არაერთი უცხო სიტყვა იმ წიგნში, რომელზეც დასაწყისში აღვნიშნე და რომელთა გაგება შეუძლებელია პედაგოგისთვის?

ალბათ, ასეთი რამ აღარ მოხდება, თუ ქვეყანაში იარსებებს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

არ მჯერა, რომ ჩემს აზრს ვინმე სათანადოდ მიიტანს გულთან, მაგრამ არც ის იქნება ურიგო, თუ განათლების სამინისტრო დაინტერესდება და პედაგოგებისთვის განკუთვნილი წიგნების გასაგებად წერას აიყვანს კონტროლზე.

ბოლოს კი მინდა ვუპასუხო სათაურად გამოტანილ კითხვას: რატომ იწერება ამგვარი წიგნები?

- ჩემი პასუხი ასეთია:
- იმიტომ, რომ არ მოქმედებს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ;
- იმიტომ, რომ არ არსებობს ენის სახელმწიფო სამსახური;
- იმიტომ, რომ აღარ არსებობს კონტროლი და თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა ენის დაცვაზე;
- იმიტომ, რომ ენის დაცვაზე ერთადერთი მზრუნველი დარჩა მასწავლებელი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს, თუნდაც იმიტომ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები ენის ნაწილში სქემატური და ზერელება;
- იმიტომ, რომ ბილწისიტყვაობა მხატვრულ ლიტერატურაში, კინოსა და ტელევიზიაში წესად იქცა და ჩვენც ამ უმსგავსობებზე ვიცინით;
- იმიტომ რომ ...
თუმცა აღარ გავაგრძელებ ...

ჯერ კიდევ კენესა მეტია ქვეყანაში და არაა დავიანებული პრობლემებზე ზრუნვა, მაგრამ თუ ხალხი ახარხარდა, მაშინ, ალბათ, ერთი იგავისა არ იყოს, გვიანი იქნება.

**თამაზ აპულაძე**  
ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი

# ბავშვთა აბრუნა და მისი გამოვლინებები

აგრესია დესტრუქციული ქცევით, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში ინდივიდუალურ არსებობის ნორმებს, მოაქვს ფიზიკური ან მორალური ზიანი ადამიანებისათვის, ან ინვესტია მათ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს. ბრაზი, შიში და სხვა ემოციები პროვოცირების გარემოში ადაპტაციისა და ინტეგრაციის ფუნქციას ასრულებს და ხშირად მიმართულია წინააღმდეგობების დასაძლევად. მათი ყველა გამოვლინება არ შეიძლება ჩაითვალოს საგანგაშოდ. სამედიცინო თვალსაზრისით, ზოგიერთ შემთხვევაში, ქცევითი გადახრები შეიძლება ასაკობრივ ნორმადაც მივიჩნიოთ.

ევა კომონისისა და პოლ ფრიკის მიხედვით, ბავშვთა და მოზარდთა ქცევითი ანტილოპია ორი კატეგორია არსებობს: ექსტრენალიზებული და ინტრენალიზებული. ექსტრენალიზებული ქცევითი პრობლემები გამოიხატება: ფიზიკური ძალადობისა და ვერბალური შეურაცხყოფის შემცველი აგრესიული და ანტისოციალური ქმედებებით. თუმცა, მოზარდები, რომლებიც ექსტრენალიზებულ პრობლემებს ავლენენ, ხშირად ხასიათდებიან ყურადღების დეფიციტით და ჰიპერაქტიურობის სინდრომით.

ინტრენალიზებული ქცევითი ანტილოპია მიმართულია საკუთარი თავისკენ და ახასიათებს სოციალისაგან იზოლაციას. უკიდურესად ინტროვერტიული ქმედებები ვლინდება დეპრესიით, შფოთვით და სომატური ჩივილებით. აღნიშნული სიმპტომები შეიძლება ზრდასრულ ასაკშიც გაგრძელდეს და საბოლოოდ გამოიწვიოს პროვოცირება სოციალური გადახრის ან განზრახ მკვლელობის. აღნიშნული დარღვევის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი წინაპირობა: ინდივიდის ხასიათის თავისებურებები და ოჯახური გარემო.

ბავშვები ექსტრენალიზებული ქცევით უფრო ხშირად ხვდებიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ზრდასრულ ასაკში, ემოციების გამოხატვის დროს, კანონთან კონფლიქტი შეიძლება, რაც ინვესტია მათ დამნაშავეებად ფორმირებას. ამ პოპულაციამ ხშირად დიაგნოსტირდება ოპოზიციურობის ქცევითი ანტილოპია. არსებობს საფრთხე, რომ არასწორად მივაკუთვნოთ აგრესიული დევიაციების მქონე ინდივიდთა ჯგუფს ტიპური მოზარდი, რომელიც აკადემიური სიძნელეების დაძლევისას ცდილობს, თავი აარიდოს დავების შესრულებას ან, უბრალოდ, სურს იმყოფებოდეს ყურადღების ცენტრში და ამის მისაღწევად ჩადიდებს საზოგადოებისთვის მიუღებელ ქმედებებს.

სტრესულ მდგომარეობასთან გამკლავების სტრატეგიითა და მასშტაბით და გამოვლინებები ვარირებს ფართო საზღვრებში და, ასაკის მატებასთან ერთად, უფრო მრავალფეროვანი ხდება. უმცროსი ასაკის კონტინენტში რთული და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავების მეთოდები დამოკიდებულია ბავშვის კოგნიტიურ, სოციალურ და ემოციურ ფუნქციონირებაზე. ჩვეულებრივ, 15-19 წლის მოზარდები შედარებით ხშირად მიმართავენ სტრესულ ფაქტორებზე უშუალო ზემოქმედებას (პრობლემის გადაჭრა, კოგნიტიური გადაფასება), ვიდრე მცირე ასაკში.

არასასურველ გარემოსა და შინაგან ცვლილებაზე საპასუხოდ აღმოცენებული დისკომფორტი ინვესტია პომეოსტაზური მდგომარეობიდან გადახრას. ნეგატიური ენერგია თუ „გამოკრიტიკება“, მაშინ რთულ ხასიათს შეიძენს და აგრესიის ფორმატში გადავა. ქცევა დევიაციურად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ: 1) ბავშვის ან მოზარდის ქცევაში გარკვეული გადახრები აღინიშნება მაშინ, როდესაც მის თანატოლებს უკვე მსგავსი პრობლემები მოგვარებული აქვთ; 2) იგი ინვესტია ინდივიდის ყოველდღიურებაში მკვეთრ ჩამორჩენას, და შეზღუდულია; 3) პრობლემებს ქმნის სხვა თანატოლებთან, უფროსებთან (მშობლები, პედაგოგები...) ურთიერთობისას ან რთული სიტუაციების მართვისას. ვლინდება სხვებზე ფიზიკური, ვერბალური ზემოქმედებით, კანონდარღვევის სხვადასხვა ფორმით: ქურდობა, სხეულის ან ქონების განზრახ დაზიანება.

ადამიანი სიცოცხლის მანძილზე გადის პერიოდებს, როდესაც განსაკუთრებით მგრძობიარე ხდება გარკვეულ ზემოქმედებათა მიმართ. ნარმოქმნება ოპტიმალური პირობები ფსიქიკური განვითარებისთვის: 6-9 წლის ასაკი ხატორები ნარმოცვლის სენსიტიური პერიოდი, 10-15 წლის ასაკი - ლოიკური აზროვნების, ხოლო 12-18 წლის - სოციალიზაციისა და თანატოლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბების. თუ 3-5 წლის ბავშვი თავს ოჯახში იმკვიდრებს, მომწიფების ასაკში მოზარდი შორდება შინაურ გარემოს და საკუთარი პროვოცირების საზოგადოებაში ინტეგრაციის (სოციალიზაციის) ახდენს.

ადამიანის სიცოცხლის პირველ პერიოდში ყალიბდება: საბავშვო ნდობა გარემო სამყაროსთან და ხალხთან, დაცულობის შეგრძნება ან უნდობლობა, შიში, შფოთვა. ბავშვი, რომელიც დისკომფორტს გრძნობს, უკმაყოფილებას გამოხატავს ტირილით, ყვირილით, ჩხუბით. მომავალი თაობის ფსიქიკაზე ზრუნვა იწყება ორსულობის პერიოდიდან. დედის პოზიტიური განწყობა, თბილი და სიყვარულით აღსავსე გარემო, „სასურველი შვილი“ მოლოდინი აუცილებელი ფაქტორია ჯანსაღი ფსიქიკის პროვოცირების ფორმირებისათვის.

კარგი ქცევის, უნარის ჩამოყალიბება ხდება ნელ-ნელა, რადგან ათვისება და დამახსოვრება რთული პროცესებია, რომლის დროს მოზარდი თანდათან აცნობიერებს ჩვენს სიტყვებს, ჩვენს ლოგიკას და იმას, თუ რა გვსურს მისგან. მშობლების მთავარი ამოცანაა მშვიდად და ტაქტიურად აუხსნას ბავშვს, რა მოეთხოვება და მათაგან მას, რას აუთებს არასწორად. უშედეგოა უთხრათ ბავშვს: „არ გააკეთო ასე!“, თუ მას, პარალელურად, არ შესთავაზებთ ქცევის ალტერნატიულ ვარიანტებს.

ირლანდიის მასწავლებელთა ორგანიზაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, აგრესიული ბავშვების ერთ-ერთი მთავარი თვისებაა გადამეტებული და ძნელად კონტროლირებადი ფეთქებაობა. დაწყებითი კლასებში აღნიშნავენ რთული ქცევის სხვადასხვა სახეებს:

1. აგრესიული ქცევა - გამოხატული ფიზიკური ქმედებებით, რომელიც მოიცავს: ხელით შეხებას, ნიხლების დარტყმას, კბენას, დაფხაჭანას;

2. დიზრუპტიული ქცევა - მოიცავს: ყვირილს, სიტყვიერ შეურაცხყოფას, გაქცევას, თავის არიდებას, მუქარას, ისტერიულ გამოვლინებებს;

3. დესტრუქციული ქცევა - მოიცავს: საკუთრებისა და გარემოს დაზიანებას (მაგ.: სასკოლო ინვენტარის მიზანმიმართული დამსხვრევა ან დაჩხაპვნა, კედლების დასხვ.);

4. უკანდახევეთი აგრესიული ქცევა - გულისხმობს: საზოგადოებისაგან განრიდებას და სხვადასხვანაირი აქტივობებისაგან თავის არიდებას, პასუხის გაუცემლობას დასმულ კითხვაზე;

5. სტერეოტიპული ქცევა - ვლინდება რიტუალურ მოძრაობებსა და ქმედებებში. აღნიშნული გამოვლინებები ძირითადად აღინიშნება აუტისტიური სპექტრის ანტილოპიების დროს ან იმ ბავშვებში, ვისაც სირთულეები აქვს დამახსოვრებასთან;

6. თვითდაზიანებითი ქცევა - მოიცავს აუტოაგრესიის კომპონენტებს, მიმართულს საკუთარი სხეულის განზრახ დაზიანებისკენ. გამოიხატება: თავის კედელზე მირტყმით, კანის დაჩხაპვნით, დასერვით და სხვ.

მოზარდის ფიზიკური და ფსიქიკური ძალების ცვალებადობას შეიძლება მოჰყვეს პროვოცირებული სფეროსა და ფსიქოსოციალური სტატუსის ტრანსფორმაცია, რაც, თავის მხრივ, აყალიბებს ასაკობრივ კრიზისს. გარდატეხის ხანა სექსობრივი მომწიფების პერიოდს ემთხვევა. 11-დან 16 წლამდე ასაკის ინდივიდში თვისობრივ გარდაქმნებს განიცდის განვითარების ყველა სფერო: ანატომიური, ფიზიოლოგიური, მსოფლმხედველობრივი. ხდება ახალი ინტერესების, განცდების ფორმირება, ღირებულებათა გადაფასება, ზრდასრულობისკენ სწრაფვა, იქმნება საფუძველი პრობლემათა მთელი ჯაჭვის წარმოქმნისათვის. სულიერი დისკომფორტი გამოიხატება ნეგატივით, არასრულფასოვნების განცდით, უფროსებთან კონფლიქტით, მძაფრი სენსიტიურობით კრიტიკისადმი.

აგრესიული ქცევის მქონე მოზარდს ზოგჯერ არ ჰყავს ახლო მეგობრები ან პირიქით, თანამოაზრეთა მთელი ჯგუფით გადაადგილება. დაკვირვებისას ირკვევა, რომ ამ „სამეგობროში“ თავადაა ერთპიროვნული ლიდერი, მიმდევრები თანამოაზრეები კი არა, მისდამი დაქვემდებარებული, მართვადი ინდივიდებია. ისინი მზად არიან, ლიდერისთვის თავიც გასწიონ და სწორედ ამიტომ, შეიძლება პრობლემები შეუქმნან როგორც საკუთარ თავს, ისე საზოგადოებას.

პროფესიონალი მასწავლებლებისთვის არ არის რთული აგრესიული გადახრის მქონე ბავშვის იდენტიფიცირება, რადგან იგი, ჩვეულებრივ კონტინენტთან შედარებით, ხშირად ავლენს შემდეგ თვისებებს:

1. შენიშვნის მიცემისას კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე და უჭირს სიტუაციის მართვა. მგრძობიარეა და სწრაფად რეაგირებს გარემო და შინაგან ცვლილებებზე;
2. კონფლიქტი შეიძლება უფროსებთან და არ ემორჩილება მათ;
3. უარს ამბობს დაცვის საზოგადოდ აღიარებული წესები;
4. სპეციალურად აღიზიანებს ადამიანებს, ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს, რაც მისთვის ერთგვარი განმუხტვისა და თვითკმაყოფილების განცდის საშუალებაა;
5. დანაშაულებს სხვებს იმ დანაშაულში, რომელიც თავად ადგენს ან ჩადენს;
6. უარს ამბობს დავალებების შესრულებაზე, სკოლაში გამორჩევა დაბალი აკადემიური მოსწრებით და ცუდი ყოფაქცევით.

თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, პრობლემის დროული კორექციის შემთხვევაში, შესაძლებელია, აღნიშნული მოსწავლე გახდეს ნარჩინებული (აგრესიული ქცევის არსებობა არ გულისხმობს ინტელექტუალური პოტენციალის ნაკლებობას);

7. აღიზიანებს სხვისი ნარმატება და შექება. ცდილობს, ჩამალოს გაკვეთილის ნორმალური მსვლელობა ან შეუქმნას სხვებს წარმოდგენა განათლების შექენის უაზრობის შესახებ.

ზოგჯერ აგრესიის გამოვლინებას ინდივიდის სომატური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები უდევს საფუძველად. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პროფესიონალების ჩარევა და დიფერენცირებული დიაგნოზის საფუძველზე სათანადო მკურნალობის აღმოჩენა. არასწორად მართული დევიაციური ქმედებები ზრდასრულ კონტინენტში შესაძლოა დაავადებად ჩამოყალიბდეს.

ბენჟამინ ლაპის მიერ ჩატარებულ კვლევებში აღნიშნულია, რომ არსებობს გარკვეული კორელაციები ბავშვთა ასაკის ქცევის პრობლემებსა და უფროსი თაობის სერიოზულ აგრესიულ ქმედებებსა და ფსიქიატრიულ პათოლოგიებს შორის.

სირთულეები ბავშვის გუნება-განწყობილების მართვაში, მეტწილად, ადრეული ასაკიდანვე იჩენს თავს და გამოიხატება აგრესიული ქცევით. თუმცა, შეიძლება მისი აღმოცენების მიზეზი კონკრეტული მომენტი ან სიტუაცია აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, ყურადღება უნდა იქცეოდეს პრობლემების, უბედური შემთხვევების, ფიზიკური ძალადობის ფაქტების არსებობის გათვალისწინება.

ქცევითი ანტილოპიის მქონე ინდივიდები ვლინდებიან როგორც მკაცრი, ისე ზედმეტად ლოიალური მშობლების გარემოცვაში. პრობლემის აღმოჩენა უფრო რთულია თვალისწილური ობიექტური მიზეზის არარსებობის გამო. გამოკითხვით დადგინდა, რომ აგრესიული ხასიათის მქონე მოზარდების 50% ყველაზე გაუნაზრებელ ადამიანად საკუთარ დედას

ან მამას მოიაზრებს. ოჯახში არსებული კონფლიქტური სიტუაციები, უდიდეს გავლენას ახდენს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ემოციური სფეროს ფორმირებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უმცროსი თაობა ყოველთვის აკვირდება და ღრუბელივით ისრუტავს იმ აგრესიულ ტალღებს, რომლებიც ვრცელდება ინტერნეტით, ტელევიზიით, პრესით.

აგრესიული ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობისას გასათვალისწინებელია თანამშრომლობა, ვისთანაც დიდ დროს ატარებს მოზარდი. თუ სკოლა და ოჯახი პრობლემის მოგვარებას გაერთიანებული ძალით არ ცდილობს, არის საფრთხე, რომ ინდივიდმა ერთ-ერთი მათგანი აგრესორად აღიქვას და იქ გადააწველოს ნეგატიური მუხტი, სადაც უკეთ მართავს სიტუაციას.

ასაკთან ერთად „საპროტესტო“ რეაქციები სახეს იცვლის და ვლინდება დესტრუქციული ქმედებების სახით. ბავშვის აგრესიის ძალისმიერმა და აკრძალვით დათრგუნვამ შესაძლოა პროვოცირება მოახდინოს აუტოაგრესიის ან ფსიქოსომატური ანტილოპიის. ა. ფრომის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხშირი დასჯა, ასე თუ ისე, ხელს უწყობს, რომ ბავშვი ჩამოყალიბდეს ინფანტილური ადამიანად“. ამ შემთხვევაში უფრო ეფექტურია არა აგრესიის დათრგუნვა, არამედ მისი მართვა, ასევე საკუთარი უფლებისა და ინტერესების სოციალურად მინიჭებული მეთოდებით დაცვა. ბავშვისადმი დახმარება უნდა წარმართოს შემდეგი მიმართულებით:

1. მუშაობა ნეგატიური ენერგიის მართვის კუთხით. ბრაზის გამოხატვის მიღებული მეთოდის სწავლება;
2. სწავლება იმისა, თუ როგორ უნდა მართოს საკუთარი თავი სიტუაციებში, რომლებიც პროვოცირებას უკეთებს ბრაზს;
3. ემპათიის უნარის ჩამოყალიბება, ნდობა, თანაგრძნობა.

გაურთულებელ შემთხვევაში, ზრდასრული ადამიანების კორექტიული მიდგომა, რჩევები საშუალებას აძლევს მოზარდს, დაგროვილი ნეგატივი გამოათავისუფლოს შინაგანი დაძაბულობისა და გართულებების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აგრესია გამოხატვის ძიებას იწყებს, რაც შეიძლება გამოიხატოს უკიდურეს ძალადობაში ან ფსიქიკური დაავადების სიმპტომად ჩამოყალიბებაში.

სიტუაციის ძალისმიერი მეთოდებით დათრგუნვისას ბავშვს, ნეგატიურ სტიმულზე რეაქციის კონტროლის თვალსაზრისით, ექმნება პრობლემები, იგი შეიძლება დაითრგუნოს, მოჩვენებითად „გამოსწორდეს“ ან გასაქანი მისცეს ემოციებს, რაც გამოვლინდება ფიზიკური (ფეხების ბაკუნა, გასვლისას კარის გაჯახუნება, ნივთების ან მოპასუსების დაზიანება) ან ვერბალური სახით (წყევლა, კრიტიციზმი, ყვირილი). პრობლემის წარმოქმნის მნიშვნელოვანი წინაპირობებია არარაციონალურად განაწილებული თავისუფალი დრო და აგრესიული ინფორმაცია, რომელიც სწრაფად ვრცელდება არასრულწლოვნებს შორის არაფორმალურ გარემოში, მაგალითად, ე.წ. „უბანში“ ურთიერთობის დროს.

აგრესიული ნაკადის განმუხტვის მრავალი ხერხი არსებობს. მაგ: ენერგიის დახარჯვა სოციალურად მისაღები ქმედების ფარგლებში; ფიზიკური განმუხტვა სპორტული თამაშობების ან ცეკვის სახით და სხვ. დაგროვილი აგრესიის არა დესტრუქციული ფორმით განმუხტვის საინტერესო ფორმაა წარმოსახვითი რეალქსი (სასურველი სცენარის ილუზორულ ფორმატში წარმოდგენა, რაც იძლევა განტვირთვის საშუალებას).

ზოგადასაგანმანათლებლო დანესებულება ბავშვს განსაზღვრული ქცევითი ნორმებისა და რეგულირებების ქვეშ აქცევს, ამავდროულად, მას თვითგანვითარებისა და პროვოცირებად ჩამოყალიბების საშუალებას აძლევს. თუმცა, ზოგჯერ ინდივიდის აგრესიული რეაქციების აღმოცენების მიზეზი თავად ხდება. შეზღუდვები სიტუაციის პროტესტის გამწვავები მექანიზმის ამოქმედებას, რაც სიტუაციის მართვას უფრო ართულებს. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო ქსელი რაფინირებულია და კრიზისული სიტუაციების მართვას ითვალისწინებს, აგრესიული ქცევის მქონე მოსწავლეს უჭირს კონტაქტის დამყარება არა მარტო თანატოლებთან, არამედ სკოლის თანამშრომლებთან.

სასწავლო დანესებულებაში ბავშვის აგრესიული ქცევის განმუხტვისათვის მნიშვნელოვანია: კორექტიული და ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება და სიტუაციის მართვის სადავების ფლობა. დამრიგებელმა უნდა ჩამოაყალიბოს კლასის მართვითი და თვალსაჩინო ნებსები. შედეგად მიიღება ერთგვარი კოდექსი, რომლის დამცველები სასურველია, ნახალისდნენ. პოზიტიურ ქცევაზე ფოკუსირება აძლიერებს მის დანერგვას სოციალურად.

სასკოლო ასაკის ბავშვებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ თინეჯერი მოსწავლეები ხშირად მიმართავენ პირდაპირ აგრესიულ ქცევას, რომელიც ხორციელდება ვერბალური ფორმით და გულისხმობს მიზანმიმართულ ლანძღვას, ბილსიტყვაობას, მუქარას, წყევლას. განმუხტვის აღნიშნული სახე ზოგჯერ ყოველგვარი ობიექტური მიზეზის გარეშე აღმოცენდება და წარმოადგენს ან ბავშვის მავნე ჩვევას, ან დაგროვილი ნეგატიური ენერგიის გამოხატულებას.

ხშირად მოზარდის აგრესიული ქმედების შეფასებისას გარემომცველი სოციალის პოზიციის მხოლოდ ცუდი იარაღის მინებებაში გამოიხატება. ამასთან უნდა გახსოვდეთ, რომ „გადადგამთ რა ურთიერთგაგებისთვის პირველ ნაბიჯს, თქვენ გაარღვევთ სიჯიუტის სპირალს“ (რიჩარდ კარლსონი).

# „მშობლებს ადანაშაულებენ, მაგრამ არ ასწავლიან“ თომას ბორლონი

„მშობლებს ადანაშაულებენ ახალგაზრდობის ყველა პრობლემის, ასევე იმ პრობლემების გამო, რომლებსაც ის საზოგადოებას უჩენს“ (თ. გორდონი, „როგორ გავხდეთ კარგი მშობელი“). დიას, ადანაშაულებენ, მაგრამ ცოტას ასწავლიან. მილიონობით მშობელიდან, რომელიც თავის თავზე იღებს შვილების აღზრდას, რამდენია ამისთვის მზად? სწორედ ეს კითხვა დასვა და 1962 წელს, კალიფორნიის შტატში (აშშ), დოქტორმა თომას გორდონმა მშობელთა წვრთნის პროგრამა შექმნა, შემდგომ კი წიგნადაც გამოცა. პროგრამა და წიგნი მშობელთა სწავლებისთვისაა შექმნილი. მისასაღებელია, რომ ქართულად ითარგმნა და გამოიცა. ამ წიგნის წაკითხვა და დამუშავება გახდა მთავარი მოტივი, მკითხველისათვის ჩემი შეხედულებები გამოვიარებინა. ამ ეტაპზე, სამიხნე ჯგუფი დანაშაულებით კლასების მასწავლებლები იქნებიან.

როცა ახალგაზრდა მშობელი ვიყავი, მიხდოდა ჩემს შვილებს ყველაფერი ჩემი სურვილისამებრ ეკეთებინათ და ვერ ვხსნიდი, რატომ ჰქონდათ პროტესტი ზოგიერთ რამეზე? როცა მრავალი წელი დანაშაულებით ვიმუშავე, გავიცანი მეთოდურ ლიტერატურას, ვაკვირდებოდი მოსწავლეთა ქცევებს, ბევრ რამეს მივხვდი, მათ შორის უმთავრესს – გულისყურით მოვუსმინოთ ბავშვებს (მოზარდებს). მათი ყველა მოქმედება, გამოთქმა, უცხი რაღაცას მიგვიჩვენებს. თომას გორდონს წიგნში მოჰყავს ასეთი მაგალითი: ბავშვი ეკითხება დედას: „საჭმელი მალე იქნება?“ (სავარაუდოდ შია), დედა უბრუნებს კითხვას: „სადმე გეჩქარება?“ შესაძლოა დედამ ბავშვის შეტყობინება არასწორად გაიგო, ბავშვს კი მართლა შია. დედამ მასში ეჭვი შეიტანა, რაც ბავშვისთვის შეუმჩნეველი არ დარჩება და მსგავსი ურთიერთობის გაგრძელებამ შესაძლოა ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის დეფიციტი წარმოშავს. ამ შემთხვევაში, მოსალოდნელია, ურთიერთობა დროთა განმავლობაში გაქრეს. ამას თ. გორდონი „მშობლების დათხოვას“ ეძახის. დამეთანხმებით, ბევრი გვსმენია, რომ შვილი მშობლის აზრს და შეხედულებებს საერთოდ არ იზიარებს, ანუ „დაითხოვა“.

მინდა რამდენიმე საკითხს შევეხო, რომლებშიც მშობლებს დახმარება სჭირდებათ:

ძალიან ბევრი იწერება (მივესალმები ამ ფაქტს) ინკლუზიურ განათლებაზე, მშობლები ინფორმირებული არიან მეტნაკლებად, განსაკუთრებით ქალაქში, თუმცა ამას რაიონებზე, სოფლებზე ვერ ვიტყვით. ვფიქრობ, ამ კატეგორიის მშობლების დამატებითი ინფორმირება საჭირო, მეტი დარწმუნება მაგალითების ჩვენებით, გულისხმიერი მიდგომა. ისინი უარს ამბობენ შვილებისთვის სსსმ სტატუსის მინიჭებაზე, ეს კი, მოგეხსენებათ, ხელს უშლის პედაგოგებს, უფრო ეფექტური მუშაობა ჩაატარონ ამ მოსწავლეებთან.

მშობლებს, რომელმაც არ იცის ბავშვის (მოზარდის) ასაკობრივი თავისებურებანი, უკვირს: რატომ არ სჯერა პირველკლასელ შვილს მისი და სჯერა მასწავლებლის? რატომ უნდა მეტი თამაში და რატომ არ ჯდება გაკვეთილების მოსამზადებლად და სხვ. თუ ეცოდინება, რომ პირველკლასელს

ლობა დიდობას არ ნიშნავს, რომ მან ჯერ კიდევ ბევრი უნდა ითამაშოს, დახარჯოს ენერჯია, რომ ეს მისი ასაკისთვის დამახასიათებელია და ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს სკოლას და წიგნებს, მაშინ მშობელი თვითონ დაეხმარება შვილს რომ დრო სწორად გაანაწილოს, გამოიყენოს სხვადასხვა აქტივობები და სხვ.

ისმის კითხვა: ვინ უნდა ასწავლოს მშობელს ეს ყველაფერი? ყველა ხომ პედაგოგი ვერ იქნება? ჩემი აზრით, აქ დიდი როლი მასწავლებელს ეკისრება – ახალგაზრდა მშობლებს კორექტულად, თითქმის შეუმჩნეველად უნდა „ასწავლოს“ შვილთან ურთიერთობა, მარტივი აქტივობები, რათა გაუადვილდეთ ბავშვის „მართვა“. ვფიქრობ, უპირველესად, ასაკობრივი თავისებურებები უნდა იცოდეს მშობელმა, რომ არ უკვირდეს შვილის ესა თუ ის საქციელი, რაც ზოგადად დამახასიათებელია ამ ასაკისთვის; ხშირად უნდა დაინტერესდეს მისი დამოკიდებულებით სკოლისადმი, წახალისოს, დაეხმაროს პატარა-პატარა უსამოგებების მოგვარებაში, აქტიურად მოუსმინოს და ყურადღებით გაშიფროს ყველა მისი შეტყობინება და ა.შ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მოგვისმენს, გვენდობა მშობელი? ამ საკითხზე ბევრი დანერგა და მასწავლებლები, საბედნიეროდ, საკმაოდ კარგად ფლობენ მშობლის ნდობის მოპოვების ხერხებს. თუმცა, ჩემს მოსაზრებასაც დავამატებ: მშობელი უნდა დაეარწმუნოს, რომ ვზრუნავთ მის შვილზე (ეს აქსიომაა) და ამაზე არანაკლებია მისი დარწმუნება ჩვენს კომპეტენტურობაში. ამ ორი ძირითადი საკითხის მოგვარების შემდეგ, მშობელი მიიღებს ჩვენს რჩევებს, რეკომენდაციებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი რომელიმე რჩევა მას პრობლემის მოგვარებაში დაეხმარა.

ერთხელ, ერთმა მშობელმა მომმართა, რომ მისი პირველკლასელი შვილი (ჩემი მოსწავლე) სახლში ძალიან უხეშია, განსაკუთრებით დედისადმი იჩენს აგრესიას, არ ასრულებს მის მითითებებს, თხოვნასაც კი. ამ დროს სკოლაში ძალიან თავაზიანია, კარგი ურთიერთობა აქვს თანატოლებთან და ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო. ცხადია, მას იყო საშუალება პრობლემის მოგვარებაში და მიზეზი ერთად იყოს საპოზი. ხშირად ვეკონტაქტობდი მშობელს, ერთად ვაკვირდებოდი დათოს ქცევებს, მაგრამ ისევ ისე, სახლში და სკოლაში სხვადასხვანაირი იყო. დათოს პატარა ძმები ჰყავდა და ერთხელ დაინტერესდი მათთან დამოკიდებულებით. აღმოჩნდა, რომ მათაც ეუხეშებოდა. დედამ გაიხსენა დათოს სიტყვები, რომელიც გაბრაზებულმა უთხრა: რას გააჩინე ეს ზუკა და თემო... ის ძმებზე ეჭვიანობდა, ნაცნობი სიტუაციაა, დამეთანხმებით, ოღონდ მიგნება უნდა... დედამ ჩათვალა, რომ დათო უკვე დიდი ბიჭია და პატარების „სამსახურში“ ჩააყენა. დათო კი დედაც და ძმებიც ლამის შეიძულა. ეს პრობლემა ერთობლივად მოვაგვარეთ, მაგრამ რა მოხდებოდა, მშობელს რომ არ მოემართა მასწავლებლისთვის? სავარაუდოდ, ურთიერთობა უფრო გაუარესდებოდა და დათო მშობელს „დაითხოვდა“, ძმებსაც შეიძლებოდა.

მშობლებს სწორი მიდგომების გამოყენებაში უნდა დავეხმაროთ, უნდა მოგვენდონ, მიიღონ ჩვენგან კონსულტაციები და არც ჩვენ დავივალთ ე.წ. „რთულ“ მშობლებთან მუშაობით. მეც შემხვედრია და კოლეგებისგანაც მსმენია ე.წ. „საბჭოთა მშობლების“ შესახებ, რომლებთან ურთიერთობა, დამეთანხმებით, არც ისე მარტივია. ერთხელ ასეთმა მშობელმა ჯგუფური მუშაობისთვის დალაგებული მერხები ნახა და პროტესტი გამოთქვა: ასე ჯგროდ რა უნდა ისწავლონ ბავშვებმაო. მე ის ჩემს გაკვეთილზე მოვიბატიე და სწორედ ჯგუფური მუშაობა ვაჩვენე, სადაც მისი შვილი პრეზენტატორი იყო. მაშინვე არ უღიარებია თავისი შეცდომა, თუმცა, ისიც მივწევად მიმამჩნია, რომ მსგავსი შენიშვნა მერე არ მოუცია (ხშირად გვსტუმრობს ხოლმე).

ბევრს ვფიქრობ და ვგეგმავ, შევიმუშაო სხვადასხვა აქტივობები ე.წ. „პასიური“ მშობლების გასააქტიურებლად. ესეც პრობლემაა და შევეცდები, შემდგომში ამ საკითხზეც ვაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება.

დაბოლოს, მასწავლებლებს გთხოვთ, ვურჩიოთ მშობლებს იკითხონ მეთოდური ლიტერატურა, მეთოდური სტატიები. მე ვურჩევდი, აუცილებლად ნაიკითხონ თომას გორდონის „როგორ გავხდეთ კარგი მშობელი“. როცა ჩემი მოსწავლეების (და არამარტო მათი) მშობლებთან ამ წიგნის პრეზენტაცია გავმართე და სავარჯიშოებიც ერთად შევასრულეთ, მიხვდნენ, რომ მათ ეს სჭირდებოდათ. მსგავსი გამოცდილების, თუნდაც ნაწილი რომ მქონოდა, როცა ახალგაზრდა მშობელი ვიყავი, შვილებთან, ალბათ, სხვანაირი მიდგომა მექნებოდა, იმ პრობლემებსაც ავცდებოდი, რაზეც სტატიის დასაწყისში მოგახსენეთ. თინეჯერობის ასაკამდე დაგროვილი მათი გამოცდილება კი იმაში დამეხმარა, რომ ჩემი შვილები ჩემი მოგვარები არიან და ტაბუდადებული თემა ჩვენ შორის არ არსებობს.

მაშასადამე, ვფიქრობ, ერთ რამეში შევთანხმდებით, მასწავლებელმა (განსაკუთრებით დანაშაულებით კლასების) არამარტო მოსწავლე უნდა აღზარდოს, არამედ მათი მშობლების „აღზრდაზეც“ უნდა იზრუნოს, რომ არ განყდეს ჯაჭვი – მშობელი-მოსწავლე-მასწავლებელი, რომელიც, ჩემი აზრით, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირების გარანტიაა.

**ნატო კვარაცხელია**  
დმანისის მუნიციპალიტეტი, ირვანის საჯარო სკოლის  
დამცვეთი კლასების მასწავლებელი,  
პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე

- გამოყენებული ლიტერატურა:**
- თომას გორდონი – „როგორ გავხდეთ კარგი მშობელი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2014წ.
  - ლევან ლორთქიფანიძე – „საბჭოთა ადამიანი ცოცხალია“, უურნალი „მასწავლებელი“ №4, 2016 წ.
  - ქეთევან ოსიაშვილი – „როგორ ვითანამშრომლოთ მშობლებთან“, უურნალი „მასწავლებელი“, 2015 წ.
  - Google – დემიკ მეადორი – „მშობლებთან მუშაობის ასპექტები“.

## სპორტი

### მუსხიდან სალონიკამდე

სალონიკში ჩატარებულ ქაბუკ ძიუდოსიტა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იჭიდავა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხის 15 წლის ფალავანმა **თორნიკე ჯინჭვლაძემ**, რომელმაც 55 კილოგრამში პირველობა არავის დაუთმო. ცხადია, ამისთვის მადლობა ეკუთვნის მასაც და მის მწვრთნელსაც, მაგრამ აღსანიშნავია ახალციხის მუნიციპალიტეტის ფინანსური თანადგომა. ეს რომ არა, ჯინჭვლაძე საბურძნეთში ვერ გაემგზავრებოდა და არც ეს წარმატება ექნებოდა.

### ჭანტურიას ბრინჯაო

ანტალიაში ჩატარებულ ქაბუკ ძიუდოსიტა „ევროპის თასზე“ საქართველოდან მხოლოდ გოგონების გუნდი გამოვიდა, 11 მონაწილით, შედეგი კი ერთი ბრინჯაოს მედალია, რომელსაც ქაბუკეში ევროპის ბრინჯაოს მედალისანი **მარიამ ჭანტურია** (63) დაეუფლა. ბრინჯაოსთვის **თინათინ რევაზიშვილმა** (57) და ქაბუკეში მსოფლიოს ფინალისტმა **სოფიო სომხიშვილმა**

(+70) იჭიდავეს, მაგრამ საბოლოოდ მეხუთეზე დარჩნენ.

ჭანტურია მეოთხედფინალში ტუნისელთა მომავალ ფინალისტ **მერიემ კელიფისთან** დამარცხდა ვაზარით, მანამ კი თურქი **ჰუმეირა სერა** გაანადგურა – ვაზარიც აართვა და შემდეგ პირდაპირ დააიპონა. სასურველი წრეში რუმინელ **კრინა მარტონს** უარესი დღე აყარა – იპონამდე ორჯერ დასცა ვაზარიზე. ამის შემდეგ ბრალი იღებებს დაერია – **მანუელა ფრედიანის** ვაზარი აართვა, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი **ბრენდა გონზაგას** ვაფრთხილებებით მოუგო.

ჭანტურიას გარდა, სხვებმაც დამაკმაყოფილებლად იჭიდავეს – თუნდაც იმავე რევაზიშვილმა და სომხიშვილმა, **ინდირა სილაგაძემ** (63), **ეკატერინე ტატუნაშვილმა** (52) და სხვებმა. ჩვენებისთვის ეს ტურნირი გამოცდილების მიღების შანსი იყო, რითაც გაამართლა თავისი დანიშნულება. ქართველი სპორტსმენები, ანტალიაში, რამდენიმე დღით, ერთობლივ შეკრებაზეც დარჩებიან. საქართველოში ქალთა ძიუდო ახლა იწყებს განვითარებას და მათთვის – ამ პირველი თაობისთვის – ბრინჯაოს მოპოვებაც (ოქროზე არაფერს ვამბობთ) ძალიან მნიშვნელოვანია და ასეთი ერთობლივი წვრთნებიც.



### ორი მოგება სომხეთთან

ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება ხელბურთულ გოგონათა ორი ასაკობრივი ნაკრები – ქაბუკეები და ახალგაზრდები. ამ დღეებში, 17-წლამდელებმა თბილისში, სპორტკომპლექს არენაში, ორი ამხანაგური შეხვედრაც გამართეს სომხ თანატოლებთან და ორივეში გაიმარჯვეს: პირველი შეხვედრა 27:11 მოიგეს, მეორე – 31:12.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გოგონებისთვის ეს პირველი სპარინგები იყო, ოფიციალური ტურნირი კი მათ, ივლისის ბოლოს, ლიტვაში უნევთ, სადაც 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.

რაც შეეხებათ 19-წლამდელებს, ისინი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, 17-19 მარტს, ითამაშებენ ბელარუსში. მათი მეტოქეები ბელარუსის, შვეიცარიის და პორტუგალიის იქნებიან.



მასწავლებლის საშუალო რეჟული



მასწავლებლის საშუალო რეჟული პროტოკოლი...

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში



ნიგნის თარვით დაწყებითი კლასებისთვის...

კათედრის გაგების პროტოკოლი



კათედრის გაგების პროტოკოლი საშუალებას აძლევს...

ინტერაქტიული მეთოდების კრებული



კრებული ალფრედო ინტერაქტიული მეთოდების...

მასწავლებლის კალენდარი



კალენდარი ისა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის...

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის



ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის...

წიგნი I, II, III, IV - საბავშვო სააბრუნებო გაყვანილობის წიგნები

მოკვლევის საბავშვო გაყვანილობის წიგნები

ქართული ენის კრებული - ქართული ენის საბავშვო სააბრუნებო გაყვანილობის წიგნები

წიგნი 12 - თამაზ ვასაძე

წიგნი 10 - ფიზიკა

წიგნი 7 - ქართული ენის ბრუნვა

წიგნი 8 - ქართული ენის ბრუნვა

წიგნი 10 - თამაზ ვასაძე

წიგნი 4 - თამაზ ვასაძე

წიგნი 10 - ბიოლოგია

წიგნი 9 - ისტორია

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რაქვიზიტაზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“...

ახალი განათლება

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3

ISSN 2233-386X